# საერთო გაზეთი

№4 (554) • 12 თებერვალი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## – შენ გქვია ქართველი, შენს სამშობლოს კი საქართველო

**– აბა, გაიმეორე, კიდევ გაიმეორე, ბევრჯერ გაიმეორე, რომ არასოდეს დაგავიწყდეს**



## რაში უნდა მიბაძოს საქართველომ ირანს?



ირანელები თვლიან, რომ მათი სახელმწიფოს სიძლიერე ნავთობზე კი არა მათ მწერლობასა და კულტურაზე დგას

## „ანაკლია-პორტი“ საქართველოსთვის ბერმუდის სამკუთხედად არ უნდა იქცეს



## „აბა ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო“, თუმცა, ხანდახან, ყვავებსაც იჭერენ, თანაც ორჯერ



მიენიჭოს გიგი უგულავას „ეროვნული გმირის“ წოდება 48 მილიონის გაფლანგვისთვის

## ჰიტლერიდან მიშტლერამდე



## ჩემი ოჯახი არაერთხელ გახდა „ნაცების“ ცილისწამების მსხვერპლი. იმედია, სამართალი იზეიმებს

## მონებო, გაიღვიძეთ!

## რატომ არ შეიქმნა ეფექტური პრეპარატი კორონავირუსის წინააღმდეგ, რომელიც ახლა კი არა, თურმე, 7 წლის წინათ „დაიბადა“

# – შენ გქვია ქართველი, შენს სამშობლოს კი საქართველო – აბა, გაიმეორე, კიდევ გაიმეორე, ბევრჯერ გაიმეორე, რომ არასოდეს დაგავიწყდეს





**ვახტანგ ხარჩილავა:**

ადრე, ათეული წლების წინათ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ერთი კაცი დაგვინიშნეს.

კარგი ადამიანი იყო ეს ჩვენი ახალი თავმჯდომარე — გულისხმიერი, კეთილი, უბოროტო, თუმცა ერთ პრობლემა აწუხებდა — სკლეროზი ჰქონდა.

მწერლები ქირქილებდნენ — ამ ჩვენს თავმჯდომარეს ოჯახის წევრები ყოველ დილას, სამსახურში წასვლის წინ, ტრენინგებს უტარებენო.

— შენ გქვია ესა და ეს. გვარად ხარ ესა და ეს... აბა, გაიმეორე — ეუბნებიან და ესეც იმეორებს და იმეორებს, სანამ უშეცდომოდ არ დაიმახსოვრებს.

— შენ ახლა ხარ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე! გაიმეორე, ძვირფასო.

აი, ამ „საზეპიროებს“ რომ წარმატებით ჩააბარებს, მხოლოდ ამის შემდეგ აძლევენ ჩვენს თავმჯდომარეს სამსახურში წასვლის უფლებასო, — ამბობდნენ მწერლები.

როგორც ჩანს, ჩვენს ოპოზიციონერებსაც სკლეროზი აქვთ და არ ახსოვთ, რომ ქვეყანას, სადაც ცხოვრობენ, საქართველო ჰქვია და ეს ქვეყანა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა, რომელმაც თავისი შიდა პრობლემები თვითონ, დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს, ესენი კი ხან ევროკავშირს მიადგებიან, ხან ევროსაბჭოს, ხან ვენეციის კომისიას, ხან ამერიკის კონგრესს, ხან ოდირს — გვიშველეთ და გვითხარით, როგორ უნდა მოვიქცეთო.

ამ ორი თვის წინათ ოდირში აფრინეს წერილი — ხელისუფლებას ვთავაზობთ, არჩევნები გერმანული მოდელით ჩავატაროთ, ესენი კი უარზე არიან — გერმანული მოდელი საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში არ მოდისო. გაგვაგებინეთ, მართლა ასეა თუ გვატყუებენო?

ოდირიდან პასუხი მოვიდა — თქვენ ხართ დამოუკიდებელი სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს ჰქვია საქართველო.

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენ გაქვთ კონსტიტუცია. ჩაიხედეთ ამ კონსტიტუციაში და მიხვდებით, შესაბამისობაში მოდის თუ არა გერმანული მოდელი თქვენს კონსტიტუციასთან. ჩვენ რას გვეკითხებით, თქვენ თვითონ გაარკვიეთ და თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, რომელი საარჩევნო სისტემით გირჩევნიათ არჩევნების ჩატარება ყველა საარჩევნო სისტემა კარგია — პროპორციულიც, შერეულიც, მაჟორიტარულიც, გერმანული მოდელიც. ყველა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. თქვენზეა დამოკიდებული, რაზე შეთანხმდებით და რომელს აირჩევთო.

**გესმით თქვენ, სრულიად არააპატივცემულო ოპოზიციავ, რა გითხრეს?**

**დამოუკიდებელი სახელმწიფო ხართ თქვენ, დ-ა-მ-ო-უ-კ-ი-დ-ე-ბ-ე-ლ-ი და სუვერენული სახელმწიფო და ისე მოიქეცით, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა იქცეოდესო.**

თუმცა ოპოზიციას, როგორც ჩანს, სულ არ აწყობს რომ ეს ქვეყანა დამოუკიდებელი იყოს.

ოპოზიციას უნდა რომ ის ვიღაცამ გარედან დანიშნოს ხელისუფლებად, გარედან მოვიდეს დირექტივა: მიუხედავად იმისა, რომ აშკარად კრიმინალურ-ფაშისტური სულისკვეთების ორგანიზაციაა, დაინიშნოს „ნაცმოძრაობა“ საქართველოს მმართველ პარტიად, ხოლო მის ჯალათობასა და სადიზმში ეჭვმიტანილ ლიდერს, მეტსახელად „დემოკრატიის შუქურას“ ჩაბარდეს პრემიერ-მინისტრის პორტფელი. ყოველივე ეს კი გაფორმდეს არჩევნების გზით და შეირჩეს ისეთი საგანგებო საარჩევნო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნებში ნაცმოძრაობის და მისი სატელიტების უპირობო გამარჯვებას.

აი, ეს უნდა ამ ეგრეთწოდებულ ოპოზიციას, აი, ამაზე ჩალიჩობენ ეს პირწავარდნილი ფარისევლები და თვალთმაქცები. აი, ამას გამო ააფორიაქეს და ააწრიალეს მთელი საქართველო და დანარჩენი მსოფლიო.

ადრე, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, ზუსტად ისე იქცეოდნენ, როგორც ახლა იქცევიან — სხვადასხვა სახელმწიფოების ადმინისტრაციებიდან, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მოჰქონდათ და მოჰქონდათ „ცნობები“, რომ მაგარი დემოკრატები არიან, რომ დასავლური ორიენტაციის თავდადებული მომხრეები არიან, რომ ადამიანის უფლებები და ზოგადად ადამიანი, მათთვის უზენაესი და უმთავრესი ღირებულებაა, რომ წესიერები, პატიოსნები, უმწიკვლოები არიან, რომ ჭიანჭველისთვისაც კი არ დაუდგამთ ფეხი, ეს იმ დროს, როცა ადამიანებს ქუჩაში ხოცავდნენ ათიათასობით მოქალაქეს ციხეებში უშვებდნენ, ძარცვავდნენ, აყაჩაღებდნენ, ატერორებდნენ ადამიანებს, პროდასავლურები ვართო, ამბობდნენ და ამ დროს რუსეთთან ჰქონდათ საიდუმლო ძმობა და მეგობრობა.

ხომ საინტერესოა, ვინ აძლევდა ამ ჩამოყალიბებულ ავაზაკებს კაიკაცობის დამადასტურებელ ამ ყალბ ცნობებს და რის საფასურად და რის სანაცვლოდ.

ისიც ხომ საინტერესოა, რატომ გრძელდება ეს უმსგავსობა დღემდე და რატომ აყენებს შეურაცხყოფას ქართველ ხალხს და რატომ აყრის თვალში ნაცარს ზოგერთი კონგრესმენი თუ ევროპარლამენტის წევრი, როცა ამ ბანდიტებს მფარველობს და მხარს უჭერს?

— ამათ აქ, ვაშინგტონში, აქვთ საარჩევნო კამპანია გაჩაღებულიო — თქვა ამასწინათ არჩილ თალაკვაძემ.

რაც ზემოთ ვთქვით, იმიტომ ხდება ეს ამბავი — ისინი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ თვლიან და სხვადასხვა მაქინაციებით კვლავ თუ მოძვრნენ ხელისუფლებაში, ისევ ისე მოიქცევიან, როგორც 2003–12 წლებში იქცეოდნენ — სადამსჯელო-საეგზეკუციო დესანტივით, დამპყრობლებივით.

ისინი იმ პუტჩისტების სამართალმემკვიდრეები არიან, რომლებმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში ცეცხლით და მახვილით დაიპყრეს საქართველო, 2003 წელს პარლამენტში შეიჭრნენ, 2019 წლის 20 ივნისს ისევ პარლამენტში შეჭრა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სცადეს და დღემდე აგრძელებენ ძალისმიერი მეთოდებით საქართველოს მოსახლეობასა და ხელისუფლებაზე ზეწოლას და შანტაჟს.

**„ნაცები“ ახალი ყაიდის დამპყრობლები არიან და დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, გამოხატვის თავისუფლების და სხვა კეთილშობილური ლოზუნგებით შეიარაღებულნი საკუთარ სამშობლოს იპყრობენ და აუპატიურებენ.**

თუმცა საქართველო არასოდეს ყოფილა მათთვის სამშობლო, მათი „სამშობლო“ ვაშინგტონშია, მოსკოვშია, ბრიუსელშია, თუმცა, როგორც ჩანს, ბოლო ხანებში ამ „სამშობლოებიდანაც“ ამოუკვეთეს ფეხი.

ნაცმოძრაობის ცხრაწლიანი სისხლიანი რეჟიმის თუნდაც ზედაპირული ანალიზი მტკიცედ გვარწმუნებს იმაში, რომ ნაცმოძრაობის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, არსებობა უნდა დამთავრდეს.

სანამ ეს არ მოხდება, საქართველოს წინსვლისა და განვითა-



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



რების პერსპექტივა არ აქვს, ისე როგორც წინსვლისა და განვითარების პერსპექტივა არა აქვს პოლიტიკურ სპექტრს და ზოგადად პოლიტიკურ ცხოვრებას.

ნაციონალური მოძრაობა ის შხამიანი ურჩხულია, რომელმაც, ფაქტობრივად, შეჭამა და დაასნეულა მთელი ოპოზიციური სპექტრი მთლიანად ჩაკლა და ჩაახშო ის ჯანსაღი პროცესები რაც აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის.

**ნაცმოძრაობა ფეხზე გამობმული ლოდივით ძირს, ფსკერისკენ ექაჩება ქვეყანას.**

**დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: ან ამ ლოდს მოვიშორებთ და გადავრჩებით, ან ეს ლოდი ჩაგვძირავს და შეგვიწირავს.**

საქართველოს და ქართველი ხალხის სირცხვილია, როცა სააკაშვილები, ბოკერიები, უგულავები, ვაშაძეები, ბაქრაძეები და მათნაირები ბედავენ და ულტიმატუმის ენით გველაპარაკებიან.

მათთან მოლაპარაკების მაგიდასთან ჯდომაც და საარჩევნო სისტემებზე მსჯელობა და სჯაბაასიც სირცხვილია...

მათი ადგილი პოლიტიკაში კი არა ციხეშია, ზოგიერთისა კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

საქართველოს მოსახლეობამ, მსოფლიოს დემოკრატიულმა საზოგადოებამ, ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა მხოლოდ ნაწილი იციან იმ დანაშაულებისა, რაც ნაცმოძრაობას აქვს ჩადენილი.

ჩამოიღეთ თაროებიდან ეს საქმეები, გახსენით საიმედოდ ჩაგმანული საიდუმლო სეიფები და საჯაროდ, სახალხოდ მთელ მსოფლიოს აჩვენეთ ნაცმოძრაობის ნამდვილი სახე — წარმოუდგენლად შემზარავი, სასტიკი, ანტიადამიანური სახე.

მართალია, საქართველოს სირცხვილიც არის ეს ყველაფერი, რომელმაც XXI საუკუნეში 9 წლის განმავლობაში დაუშვა და მოითმინა წმინდაწყლის ფაშიზმის ბატონობა იმ ქვეყანაში, რომელიც ტოლერანტობის, კაცთმოყვარეობის, შემწყნარებლობის, ჰუმანიზმის ეტალონი იყო მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

დიახ, ნაცმოძრაობა ჩვენი საერთო-სახალხო ეროვნული სირცხვილია და ეს სირცხვილი როგორმე უნდა ჩამოვირეცხოთ, ამ სირცხვილისგან როგორმე უნდა გავთავისუფლდეთ.

●

— შენ ხარ ქართველი, უძველესი ერის, უძველესი ცივილიზაციის და უდიდესი კულტურის მქონე ერის შვილი.

შენს სამშობლოს ჰქვია საქართველოს და ეს ქვეყანა დღეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. აბა, გაიმეორე... კიდევ გაიმეორე... კიდევ ერთხელ გაიმეორე, რომ სულ გახსოვდეს და არასოდეს დაგავიწყდეს, ვინ ხარ და საიდან მოდიხარ.



# მონებო, გაიღვიძეთ!

ამხანაგებო კი არა და... ძვირფასო მეგობრებო, ამას წინებზე ამერიკელმა კონგრესმენებმა ხელები რომ აიშალეს, მელნით წუნწკლაობა დაიწყეს და გიორგი გახარიას წერილები გამოუგზავნეს, გახსოვთ, ხომ? ამაზე წინა ორ ნომერში ვწერდი, სადაც დაწვრილებით მოგახსენეთ, როგორ სულელობდნენ, ცდებოდნენ და ცრუობდნენ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები. ვინაიდან, თქვენ ძალიან კარგი მეხსიერება გაქვთ, ამჯერად დეტალურად აღარ განვიხილავ მათ ავკაცობას, მაგრამ წერილი რომ სრულყოფილი გამომივიდეს, რამდენიმე საკითხს მაინც გავიმეორებ: ესე იგი, აშშ-ის კონგრესის რამდენიმე „აღშფოთებულმა“ წევრმა (ექვსიოდემ) საქართველოში ერთნაირი წერილები აფრინა, არიქა, მანდ დემოკრატიას, ადამიანთა უფლებებს,



უცხოურ ინვესტიციებს და მოქალაქეების კეთილდღეობას თურმე საფრთხე ექმნება, აგერ, ხელისუფლებას მშვიდობიანი მომიტინგეებიც კი დაურბევიაო. ეგ კიდევ არაფერიო, თურმე ბიძინა ივანიშვილს ქართული ნავთობი ვლადიმერ პუტინისთვის გადაუციაო. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და... პირდაპირ გეტყვით: მაგარი უვიცები ყოფილან ეგ თქვენი კონგრესმენები, მაგათ მგონი ისიც კი არ იციან, სად არის საქართველო და აქვს თუ არა ნავთობი, არ გამოვრიცხავ, პერიოდულად აზერბაიჯანში ან კუვეიტში ვეშლებოდეთ. კიდევ ერთი დეტალი: როგორც დაინტერესებულმა პირებმა გამოიკვლიეს, ეს კონგრესმენები ჯერ „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებული პირები ყოფილან („ნაცებს“ პერიოდულად მაყუთი ჩაჰქონდათ მაგათთან), შემდეგ კი ისიც დადგინდა, რომ ტარიბანაში (დედოფლისწყაროში) „მოღვაწე“ „ფრონტერას“ ლობისტებიც ყოფილან, თვეში 3–3 ათას დოლარს იღებდნენ ამ ამერიკული კომპანიიდან. ეს კიდევ ის „ფრონტერაა“, ტყუილად რომ ბურღავდა ჩვენს მადლიან მიწას და ხან ტრილიონობით ბარელი ნავთობი „ამოჰყავდა“, ხან კიდევ ტრილიონობით კუბმეტრი გაზი. ბოლოს ისე წაუვიდათ საქმე, 11 თვის ნამუშევარი აღარ მისცეს ქართველ მუშებს და ტარიბანიდანაც დაახვიეს. ახლა საქმე საერთაშორისო არბიტრაჟში აქვთ და ალბათ წააგებენ.

კონგრესმენთა ყალბმა პათეტიკამ ძალზედ გაახარა ჩვენი ე.წ. ოპოზიცია. გამოდიოდნენ ეს კრეტინები სიმაღლის მიხედვით და მოსახლეობას აბოლებდნენ, „ქართული ოცნება“ დამთავრდა, ბიძინა ივანიშვილს კიდევ ყველა ანგარიშს დაუყადაღებენო. ჯერ ერთი, ამათ ისიც კი არ იციან (შეიძლება იციან, მაგრამ გამოშტერებულ მასაზე მუშაობენ), რომ კონგრესმენი არის ერთი რიგითი დეპუტატი და მას არ აქვს უფლება, ვინმეს ანგარიშები დაუყადაღოს. მეორეც — დავუშვათ, ივანიშვილს მთელი ქონება წაართვეს ამ საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს, ამათ, ამ უდღეურებს რა უხარიათ? კაცი ამდენ რამეს აკეთებს (აღარ ჩამოვთვლი, ძალიან ბევრია), ამდენ რამეს აშენებს, თუ გაჩერდება, ამათ გაუხარდებათ, ხომ? რა თქმა უნდა, აქედანაც კარგად ჩანს, რომ ესენი არიან მოღალატეები და ქვეყნის დაქცევის მოსურნეები!

რაც იყო, იყო... კონგრესმენების სისულელეებიც ვნახეთ, ე.წ. ოპოზიციის ყ...ეობებიც ვნახეთ, მაგრამ რა მოხდა შემდეგ? მოხდა ის, რასაც იმთავითვე ვამბობდი: ხელისუფლების წარმომადგენლები აშშ-ში ჩავიდნენ, კონგრესის კარი შეაღეს, დაელაპარაკნენ, აუხსნეს, რომ ეგრე არ არი, თაყაო და იგივე კონგრესმენებმა რამდენიმე საათში ყველა „ჩვენება“ შეცვალეს. აი, რას ამბობს ადამ კინზინგერი, რომელმაც ფაქტობრივად პირველმა წამოიწყო „აღშფოთების კამპანია“:

„ფანტასტიკური შეხვედრა გვქონდა, ქართველი ხალხის გვერდით ვდგავართ. ძალიან კარგი საუბარი გვქონდა ყველა იმ საკითხზე, რაც გვაწუხებს. იმედი მაქვს,



პროგრესს მალე მივაღწევთ. ჩვენ კომუნიკაციაში ვართ საქართველოს მთავრობასთან და ჩვენი კრიტიკა მეგობრულია. კარგ პოზიციაზე ვართ ამ მდგომარეობით“.

რა მოხდა, რატომ შეიცვალა ადრე აღშფოთებული კონგრესმენების აზრი, რატომ გახდნენ ისინი ლმობიერნი და მეგობრულნი? რატომ ჰქონდათ ფანტასტიკური შეხვედრა, რატომ ჰქონდათ კარგი საუბარი და როგორ გადაინაცვლეს კარგ პოზიციაზე? აეგრე, რააა, კარტოფილი და ხახვი მარტო აქაურ არჩევნებში კი არ ჭრის? არა, კარტოფილსა და ხახვზე ნამდვილად ვხუმრობ, არ ვიცი, რა ჩაიტანეს ჩვენებმა ამერიკაში, მაგრამ ცხადია, კონგრესის რადიომ სულ სხვანაირად დაუკრა. მეტიც, ახლა ნახეთ, რას ლაპარაკობს კონგრესმენი ბილ კიტინგი:

„ნამდვილად დიდი პატივისცემით განვიმსჭვალე სტუმრებისა და ზოგადად, შეხვედრის მიმართ. ჩვენს შორის შედგა საინტერესო საუბარი. ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჩვენს შორის არსებულ პარტნიორობას ეკონომიკისა და უსაფრთხოების მიმართულებით. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატისათვის, რომლის წევრი უამრავი ჩვენგანი და მათ შორის მეც გახლავართ, საქართველო მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს და მჯერა, რომ მრავალი თვალსაზრისით, საქართველო დემოკრატიის მოწინავე პოზიციებზეა. ამაზე მეტყველებს ის რეფორმები, რომლებიც დემოკრატიის განვითარებას ემსახურება“.

გეყურებათ? დემოკრატიის თვალსაზრისით საქართველო მოწინავე პოზიციებზე ყოფილა. ორი კვირის წინ საქართველოში დემოკრატია საფრთხის ქვეშ იყო, ლამის ინგრეოდა ჩვენი ქვეყანა.

ეეეჰ, თქვენი არ ვიცი და... მე კი ვხედავ, რომ ცას კიბე აკლია, ქვეყნიერებას კი სამართალი, თუ ცოტა ხნის წინ ისე იყო, ახლა ასე როგორღა გახდა? არადა, ფაქტია, გახდა. აი, ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს ერთ ჭეშმარიტებას: კი, ბატონო, სტრატეგიული პარტნიორიც კარგია, მეზობელიც, შორეულიც, ევროპაც, აზიაც, ამერიკაც, მაგრამ ჩვენ სხვის ხუშტურებზე არ უნდა ვიაროთ, ღმერთმა ერთი ციცქნა ქვეყანა მოგვცა და ის ჩვენადვე უნდა გვეყუდვნოდეს. დღეს ზოგიერთნი (ვითომ ოპოზიციონერნი) სხვებს ეძახიან, მონები ხართო, მათი ტვინთხელი ჭკუით, ზოგი ბიძინას მონაა, ზოგი პუტინისა... არადა, რა არის ნამდვილი მონობა? აი, ის არის, ვიღაც კონგრესმენი რაღაცას რომ დაჯღაბნის და შენ დავლურს უვლი, მუხლებზე ეცემი, ღირსება არ გაგაჩნია, თავმოყვარეობა არასდროს



გქონია. დიახ, მონა ხარ, როცა ვიღაცის ნაჯღაბნზე საკუთარი ქვეყნის მომავალს აგებ და ვიღაცის კრიტიკა ქვეყნიერების დასასრული გგონია.

სხვათა შორის, შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, სულ მიკვირდა, ესენი, ეს უცხოელები რომ გვწერენ, ასე და ასეაო, ჩვენ ხომ უკეთესად ვიცით, როგორცაა-მეთქი? რაც საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, იმაზე სხვამ რატომ უნდა მითხრას, მასე კი არა, სხვანაირად იყოო? მონობაა, როცა საკუთარ თავსაც კი არ ენდობი, საკუთარი თვალით ნანახისა არ გჯერა და ვიღაც გადამთიელის ნაბოდვარი ჭეშმარიტება გგონია.

მონებო, გაიღვიძეთ, გარეთ 21-ე საუკუნეა, ბატონ-ყმობის დრო დამთავრდა!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ჩემი ოჯახი არაერთხელ გახდა „ნაცების“ ცილისწამების მსხვერპლი. იმედია, სამართალი იზეიმებს

*გვესაუბრება პარლამენტის წევრი ჯუმბერ იზორია:*

**— ბატონო ჯუმბერ, ბოლო დროს, თქვენი ოჯახის მიმართ არაერთი ცილისწამებლური ბრალდება გაისმის. ახლახან, „მთავარზე“ გავიდა სიუჟეტი, სადაც თქვენ, როგორც კონტრაბანდის გამავრცელებელი, ისე მოგიხსენიეს. რა მიზანს ემსახურება ყოველივე და სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე?**

— სანამ უშუალოდ კითხვაზე გაგცემდეთ პასუხს, მოკლედ მოგახსენებთ ჩემს შესახებ. გლეხის ოჯახში დავიბადე, ხუთი დედ-მამიშვილი ვართ. ჩვენი გამოკვება, განათლების მიღება, ადვილი არ გახლდათ. ამიტომ, ცხოვრება, საკმაოდ, რთულ პირობებში გვიწევდა. ბავშვობიდან — მე-3-4 კლასიდან ვშრომობ — ვკრეფდი ჩაის, ვუვლიდი საქონელს, მწყემსადაც კი მიმუშავია. ჯარში გაწვევისას ავღანეთში მოვხვდი, სადაც უმძიმესი წლები გავატარე. ბრძოლის პერიოდში ორჯერ, საკმაოდ



მძიმედ დავიჭერი, ღვთის წყალობით გადავრჩი. ამის მერე, სამშობლოში დავბრუნდი და ადგილობრივმა ხელისუფლებამ პოლიციაში მუშაობის დაწყება შემომთავაზა. ვინაიდან სამხედრო გამოცდილება მქონდა, უარი არ მითქვამს და მუშაობა დავიწყე. პარალელურად, დაუსწრებლად გავაგრძელე სწავლა, ჩავაბარე სოხუმის უნივერსიტეტში, თან, ვმუშაობდი. შემდგომ, ოჯახი შევქმენი, მყავს სამი ვაჟი. ავღანეთიდან დაბრუნებულს მეგონა, უფრო მძიმე პერიოდი აღარასდროს დამიდგებოდა, მაგრამ თურმე, ვცდებოდი. ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. დაიწყო 90-იანი წლები, მივიღეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩრდილო-ოსეთში საომარი მდგომარეობა შეიქმნა. პოლიციის ეგიდით ბრძოლებში ვმონაწილეობდი. ჩვენდა სავალალოდ, არც ეს აღმოჩნდა ქვეყნისთვის საკმარისი, დაიწყო აფხაზეთის ომი, სადაც პოლიცია ჩართული არ იყო, მაგრამ როცა ქალაქში გავდიოდი, დაბომბვის ხმები მესმოდა, ჩემს თავს კითხვა დავუსვი: რას ვაკეთებ აქ, მაშინ, როცა ქვეყნის ტერიტორიები იკარგება. რამდენიმე თანამებრძოლს ჩემი აზრი გავუზიარე და საბრძოლველად წავედი. თითქმის ერთი წელი ვიბრძოლე. ეს ქვეყნის ტრაგედია იყო. ამას მოჰყვა შიდა სამოქალაქო ომი. ამ დროს, მე, პოლიციაში ვმუშაობდი. უმძიმესი წლები გავიარე — ერთ ღამეში რამდენიმე გამოძახება გვიწევდა, რადგან ხდებოდა ყაჩაღობა, მკვლელობა, ძარცვა და ა.შ. ერთი პერიოდი, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა ძალოვანი სტრუქტურიდან წამოვედი და სამხედრო სამაშველოს უფროსად ვმუშაობდი. ასე ვთქვათ, დამაქვეითეს. 2012 წლიდან ჩხოროწყუს პოლიციის სამმართველოს უფროსად დავინიშნე. 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებზე სიაში გახლდით. უკვე მეორე თვეა, რაც ამ სიით პარლამენტში შევედი და პარლამენტარი გახლავართ. ეს რაც შეეხება, მოკლედ, ჩემს წარსულს და ბიოგრაფიას. ახლა, დავუბრუნდეთ თქვენს მიერ დასმულ კითხვას: ბოლო პერიოდში, ჩემს თავს ხშირად ვეკითხები: რა ხდება, რატომ მექცევიან ასე, რატომ იყენებენ ჩემს სახელს ასეთ კონტექსტში. პასუხი ერთია: ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი ქვეყანა, ხალხი მიყვარს. სამშობლოს გამო შემიძლია თავი გავწირო. ხალხიც სითბოთი და სიყვარულით მპასუხობს, რაც ძალიან მეამაყება. როგორც ჩანს ოპონენტებისთვის ჩემი ცხოვრების წესი მიუღებელია და ცდილობენ ლაფში ამომსვარონ, არადა მათი ბრალდებები ყოვლად უსაფუძვლოა.

**— მოდით, კონკრეტულად, მათ მიერ წაყენებულ ბრალდებებზე ვისაუბროთ.**

— დიახ, პირველი, ბრალდება ასეთია: თითქოს, რამდენიმე წლის წინ, ჩემი მშობლების ოჯახიდან კონტრაბანდული სიგარეტი და საწვავი იყიდებოდა, რაც სრული აფსურდია. ამის დამადასტურებელი ფაქტი, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს. არჩევნების წინ ყოფილმა „ნაციონალებმა“, ერთ-ერთმა ყოფილმა პოლიციელმა და კუდის თანამშრომელმა დავალება შეასრულეს. კერძოდ, მათ დავალებული ჰქონდათ იმ პირებისთვის, რომელთაც საზოგადოებაში კარგი სახელი ჰქონდათ, ჩირქი მოეცხოთ, ავტორიტეტი შეელახათ. დადგეს სპექტაკლი, თითქოს, ჩემი მშობლების ოჯახში კონტრაბანდული სიგარეტი და საწვავი იყიდებოდა. სცენარის მიხედვით, თითქოს, ერთი ყუთი სიგარეტი და ერთი ლიტრი საწვავი იყიდეს. თუ მსგავსი უკანონობა მართლაც არსებობდა, შეეძლოთ სერიოზული ფაქტები დაედოთ. მათ მიერ ფარულად გადაღებულ კადრებში არსად ჩანს ყიდვის და უშუალოდ ფულის გადაცემის ფაქტები. ეს ვერც ექნებოდათ, რადგან ბრალდება თავიდან ბოლომდე გამოგონილია. მათ გადაიღეს ჩემი სახლი, მერე, დედაჩემი და ილუზიები შექმნეს, ვითომ, აქ, რაღაც უკანონობა ხდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობლების ოჯახში, სადაც ეს სპექტაკლი დადგეს 30 წელია აღარ ვცხოვრობ. მშობლებთან, მხოლოდ, ჩემი უმცროსი ძმა ცხოვრობს. ეს სპექტაკლი არჩევნებიდან 6 თვით ადრე დადგეს. როცა არჩევნები მოახლოვდა „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტს დაურეკეს და უთხრეს: მასალა გვაქვს რითაც შეგვიძლია ადამიანი „გავაფუჭოთო“. ჟურნალისტი ეკა გაგუა ჩემი მშობლების სახლში ე.წ. ფაქტის სანახავად მივიდა. მან, გარეთ ხალხიც გამოკითხა: ამ ოჯახში კონტრაბანდულ სიგარეტს თუ ყიდიანო, რაზეც უარი მიიღო. მერე, ჩემს ბიძაშვილს მიაკითხა და უთხრა: ვიცი, რომ აქ, სიგარეტი იყიდება და მომყიდეო, თან, ფარული კამერით გადაღებული ამობეჭდილი ფოტო აჩვენა. ბიძაშვილმა მიუგო: ეს ტყუილია, დადგმულია და როგორ დაგეთანხმოთო. ამაზე წაკამათდნენ და ჟურნალისტს ცოტა უხეშად მოექცნენ. ჟურნალისტი გაგუა გაბრაზდა და დაიბარა: დედას გიტირებთ, ნახეთ, სამაგიეროს როგორ გადაგიხადოთო და ცილისმწამებლური სიუჟეტი მოამზადა. ეს არ მაკმარეს და ახლა ცრუ ბრალდებებით ჩემს ძმას მიადგნენ — ვითომ, მის ბენზინგასამართ სადგურში საწვავის ფასი დაბალი იყო და ეჭვი კონტრაბანდაზე მიიტანეს. ასეთი სიგიჟე, სისულელე არსად გამიგია. ჩხოროწყუში რამდენიმე ბენზინგასამართი სადგურია. დავინტერესდი, მივედი და თითქმის, ყველგან უფრო დაბალი ფასებია, ვიდრე ჩემი ძმის ბენზინგასამართ სადგურში. თბილისშიც ვნახე, ფასები ბევრად არ განსხვავდება — დედაქალაქში 1 ლიტრი ბენზინის ფასი 2,30-ია, ხოლო ჩხოროწყუში — 2,15. რა გამოდის, რომ თბილისშიც კონტრაბანდული საწვავი იყიდება? ყველაზე ცუდი იცით, რა არის? — მათ, ახალგაზრდები, ჩემი შვილის ტოლი ბავშვები მომიქსიეს, მაპატიეთ ამ გამონათქვამზე, ისინი დააზონდერეს და უთხრეს: ჩხოროწყუში ჯუმბერის მიუვარდით და ხმაური აუტეხეთო. ეს ხომ საზიზღრობაა. ამ ბავშვებს ვითარება ავუხსენი, მოვუყევი სინამდვილეში რაც იყო. მათ ვუთხარი: თუ რომელიმე ჩემი ნათესავი რაიმე უკანონობაში იქნება გარეული, იმ დღესვე მანდატს დავტოვებ-მეთქი. იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება ვცდილობდი კაცურად, ღირსეულად მეცხოვრა და ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი. ბავშვებმა ინანეს თავიანთი საქციელი: გვაპატიეთ, არ ვიცოდით ვისთან მოვდიოდითო. მერე სახლში დავპატიჟე და ასე დავშორდით. ვისაც საქართველოს მოქალაქე ჰქვია, სამშობლო უყვარს, შვილები, შვილიშვილები ჰყავს, ასე არ უნდა იქცეოდეს, როგორც ეს ცი-



ლისმწამებლები მოიქცნენ. უბრალოდ, სირცხვილია.

თქვენი ნებართვით, სიგარეტის კონტრაბანდის თემას დავუბრუნდები. ეს სიუჟეტი რომ გავიდა, მართლა შემრცხვა იმიტომ, რომ არარსებულს მაბრალებდნენ. მაშინ პოლიციის უფროსი გახლდით, დავწერე პატაკი და თანამდებობა დავტოვე. რა თქმა უნდა, ხელმძღვანელებმა მითხრეს: აქ, არავითარი დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება, ვიცით, ცილს გწამებენ და სამსახურიდან არ უნდა წახვიდეო. მაგრამ რადგან საზოგადოება ამას ცუდად აღიქვამდა, გადავდექი. მერე, როცა გაირკვა ვინ გადაიღო, ვინ შექმნა ეს „პროდუქტი“, თანამდებობაზე დავბრუნდი. მე რომ გადავდექი და ეს ყველაფერი მამაჩემმა გაიგო (იგი, 81 წლის გახლავთ), ინსულტი მიიღო. ადამიანი რომელიც მთელს ოჯახს უძღვებოდა, ახლა, პირველი ჯგუფის ინვალიდია. ეს არის მათი ვაჟკაცობის შედეგი. ახლა, კიდევ, როგორც ზემოთ აღვნიშნე: გაავრცელეს სიუჟეტი, თითქოს, ჩემს ძმას კონტრაბანდული საწვავი აფხაზეთიდან შემოაქვს. „მთავარი არხის“ ჟურნალისტი ღამის 3 საათზე შეუვარდა მშობლებს სახლში და უთხრა: თქვენს შვილს აფხაზეთიდან კონტრაბანდული საწვავი შემოაქვსო. დედაჩემმა ისე ინერვიულა, ჟურნალისტებს რომ დაშორდა და სახლში ბრუნდებოდა, წნევამ აუწია, დაეცა და თავგახეთქილი დამხვდა. ამ ბინძური ბრალდებების გამო მამაჩემი ახლაც საავადმყოფოშია. მართლა სირცხვილია, რომ საქართველოში მსგავსი რამ ხდება. როგორ შეიძლება ქართველმა ქართველს ასეთი რამ გაუკეთოს?!

**— ახლახან, „მთავარზე“ გასულ სიუჟეტში ასეთმა ფრაზამ გაიჟღერა: ლევან იზორიას ნათესავის ჯუმბერ იზორიას ოჯახი კონტრაბანდულ საქონელს ყიდისო. ბატონი ლევანი მართლა თქვენი ნათესავია?**

— მე, ძალიან გამიხარდებოდა ბატონი ლევანი ჩემი ნათესავი რომ იყოს. იგი უნიჭიერესი, უწესიერესი კაცია. მან, თავად მიაღწია ყველაფერს თავისი შრომით. სხვათა შორის, იგი, ობლობაში გაიზარდა, თავად ისწავლა და მიაღწია წარმატებას. ახლა, მის ძმაზეც ააგორეს ბინძური კამპანია. თუ რომელიმე ოჯახის წევრმა რამე დააშავა, ჯოხი ბატონ ლევანზე არ უნდა გადავტეხოთ. ჩვენ, მხოლოდ მოგვარეები ვართ, სხვა არაფერი. როგორც პიროვნებას დიდ პატივს ვცემ. ყველა ადამიანი მნიშვნელოვანია, ვინც ქვეყნისთვის კარგს გააკეთებს. მათ სურთ ბატონი ლევანი მე დამაკავშირონ. აქვე გეტყვით, რომ მის ძმაზე გავრცელებული კადრები, სინამდვილეში, ძველია, კერძოდ, 5–6 წლის წინანდელია. 5–6 წლის წინანდელ ამბავს დღევანდლად ასაღებენ. თუ სიკეთეს აკეთებ და ავტორიტეტი გაქვს მაშინვე ბრძოლას დაგიწყებენ.

ჩვენ, მცირერიცხოვანი ერი ვართ და ერთმანეთს გვერდში უნდა დავუდგეთ და გვიყვარდეს. აქ კი, პირიქითაა — ვისაც სახელი და ავტორიტეტი აქვს, იმას ებრძვიან. მათთვის ნებისმიერი პატიოსანი, ღირსეული ადამიანი მიუღებელია.

**— ზემოთ ახსენეთ: რომ გაირკვა ვინ იდგა ამ საქმის უკან, თანამდებობაზე დავბრუნდიო. ვინ დგას ამ ბრალდებების უკან?**

— რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობა“, თავიდან ბოლომდე ეს მათი დაგეგმილია, მათი შეთითხნილია. მათ ჰყავთ სიცრუის მანქანა „მთავარი არხის“ სახით. ამ არხზე ვინც ცუდად გამოჩნდება, დარწმუნებული ვარ, ის კარგი ადამიანია. ეს ტელევიზია ყველაფერს პირიქით აკეთებს. „ნაცმოძრაობა“ თავიდან ბოლომდე პროვოკაციაზე დგას. ზემოთ აღვნიშნე: ახალგაზრდები მომიგზავნეს-მეთქი. ეს ბავშვები დამენანა. როცა ნახეს არ ვიყავი ის პიროვნება, რაც „ნაცებმა“ შთააგონეს, ბოდიშიც მომიხადეს. ეს ბავშვები „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები იყვნენ, რომლებიც თბილისიდან ჩამოიყვანეს. ადგილობრივებისთვის ასეთი თემა მიუღებელია.

**— ბატონო ჯუმბერ, ეს ბრალდებები სასამართლოს წესით თუ გაასაჩივრეთ?**

— დიახ. ჩემმა ძმამ რამდენიმე დღის წინ სასამართლოში საჩივარი შეიტანა იმ პირის მიმართ, ვინც სიუჟეტი ფარული კამერით გადაიღო. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. „ნაცებს“ სპეციალურად დაქირავებული ჰყავთ ადამიანები, რომლებიც კონკრეტული პირების წინააღმდეგ ინფორმაციებს ეძებენ. რა თქმა უნდა, მათ დიდძალ ფულს უხდიან. სარჩელი ცილისწამების ორივე შემთხვევასთან დაკავშირებით არის შეტანილი. სამწუხაროდ, ჩემი ოჯახი არაერთხელ გახდა „ნაცების“ ცილისწამების მსხვერპლი. იმედია, სამართალი იზეიმებს.



**თამარ ამირანაშვილი**

# „აბა ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო“, თუმცა, ხანდახან, ყვავებსაც იჭერენ, თანაც ორჯერ

## მიენიჭოს გიგი უგულავას „ეროვნული გმირის“ წოდება 48 მილიონის გაფლანგვისთვის

ნიკუტა გვარამიამ, რომელიც თავისი უცნაური „პრიჩოსკით“ სულ უფრო და უფრო ემსგავსება ჩინური ჯიშის ქათამს, გიგი უგულავას გამოსამშვიდობებელ შოუცერემონიალზე ჯერ გმირი უძახა, ბოლოს კი ეროვნული გმირის სტატუსი მიანიჭა და მატროსოვის ციხისკენ გზა დაულოცა.





— საკუთარი ფეხით მიდიხარ ციხეში... გმირი ხარ შენ, გიგი, ნამდვილი გმირი... ეროვნული გმირი ხარ შენ, — ჭყლოპინებდა ნიკუტა და ახლად გამომცხვარი „ეროვნული გმირიც“ ახალ სტატუსს ღირსეულად იფერებდა და ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს აქეთ-იქით არიგებდა.

რატომ არის პატივცემული გიგილო გმირი, ციხეში საკუთარი ფეხით რომ მივიდა იმიტომ?

საკუთარი ფეხით უნდა მისულიყო, აბა, მაინცდამაინც უნდა გაეკოჭათ და ისე უნდა შეეგდოთ საკანში?

ეროვნული გმირი იმიტომ არის, რომ 48 მილიონი გაფლანგა და გაანიავა?

გიგის არ უარუყვია, რომ 48 მილიონი არაკანონიერად „აითვისა“, ოღონდ იქვე დაამატა, რომ ეს 48 მილიონი სახლში კი არ წაუღია, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს ჩამოურიგა თურმე.

ასეც რომ ყოფილიყო, ბიუჯეტის ფულს, ხალხის ფულს, შენს მომხრეებს რომ ურიგებ, ეს დანაშაული არ არის, „ჭკვიანო“ უგულავა?

ეს „ჭკვიანი“ უგულავა ისეთ სისულელეებს იტყვის ხოლმე, რომ მის სიჭკვიანეში ეჭვი შეგეპარება...

უგულავა ჩადენილი დანაშაულისთვის სამ წელსა და ოთხ თვეს მოიხდის, რაც 48 მილიონის გაფლანგვის კვალობაზე ფრიად მსუბუქი სასჯელია.



გადასარევი ბიზნესია — შეჭამ 48 მილიონს, ჩაჯდები სამი წლით, გამოხვალ და 48 მილიონი გარეთ დაგხვდება, თანაც სმა-ჭამა და ჩაცმა-დახურვაში ფული დაგეზოგება — სახელმწიფო გარჩენს.

გიგილო ციხეში შედის, მაგრამ 20 თებერვალს ვანო მერაბიშვილი ციხიდან გამოდის.

საინტერესოა, „სვაბოდაზე“ გამოსულ ვანოს რამდენი მილიონი დახვდება გარეთ?

რამდენადაც ვიცით, ერთ თეთრზეც კი არ შედავებია სახელმწიფო, არადა, ვანოს მილიონებზე და მის ურიცხვ უძრავ-მოძრავ ქონებაზე ლეგენდები დადიოდა.

სად არის ეს მილიონები, სად არის მერაბიშვილის სახლები, კომერციული ობიექტები, სასტუმროები?

სად არის და ალბათ, ადგილზეა ყველაფერი და პატრონს უკლებლივ ჩაბარდება.

მერაბიშვილსა და უგულავას რომ თავი დავანებოთ, სად არის სხვა ბობოლა ნაცების მილიონები, სად არის მათი ბიზნესები და ბიზნესწილები, საწარმოები, რესტორნები, სასტუმროები, კაპიკებად დათრეული შენობა-ნაგებობები?

სამწუხაროდ, ერთ შემთხვევასაც კი ვერ გავიხსენებთ, ვინმეს რაიმე დაებრუნებინოს ან სახელმწიფოსთვის, ან კერძო პირებისთვის.

არავის არაფერი არ მოუთხოვია და რატომ დააბრუნებდნენ?

კეზერაშვილი რომ კეზერაშვილია, ისიც კი მშვიდობიანად გაიძურწა ქვეყნიდან და „თავისი“ მილიონებიც თან წაიყოლა.

ოქრუაშვილს, ციხეში რომ ზის და ფელეტონებს რომ თხზავს, ვინმემ ჰკითხა, საიდან გქონდა შენ „რუსთავი-2“-ის შესასყიდი მილიონები ან პარიზში მორჭმით ცხოვრების ფუფუნებას რით ახერხებდიო?

საასკაშვილზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია — რამდენი მილიარდი აქვს საქართველოდან წაცუნცულებული არავინ იცის.

აი, ამ ნაქურდალი, ნაყაჩაღარი მილიონებით და მილიარდებითაა დღეს „ნაცმოძრაობა“ და ოპოზიცია რომ იჯგიმება და ყველა არჩევნებზე გულუხვად რომ არიგებს ფულს.

„ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ტომრებით აზიდინა ვიღაც-ვიღაცებს უზარმაზარი თანხები.

არც ეს ფული მოუკითხავს ვინმეს ნაცებისთვის.

არც ნაცების მიერ სხვადასხვა მაქინაციებით და კომბინაციებით ბიუჯეტიდან მიტაცებული მილიონები დაუთვლია ვინმეს.

ამის მერე რა გიკვირთ, თუ „ნაცმოძრაობას“ ამ რვა წლის განმავლობაში სიღარიბის და ჯიბექესატობის არაფერი შეტყობია და უზარმაზარი ხარჯების და გასავლის მიუხედავად ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია პოლიტიკური აქტივობა.

**ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი მილიარდი აქვთ წალებული ამ ბანდიტებს, რომ რვა წელია ხარჯავენ, ხარჯავენ და ბოლომდე მაინც ვერ დახარჯეს.**

იქნებ ახლა მაინც ჩამოიღოს „ქართულმა ოცნებამ“ თაროდან „ნაცმოძრაობის“ ბუღალტერიის შავი წიგნი და ამ მილიარდების ნაწილი მაინც დაუბრუნოს ქვეყანას.





**P.S. — ციხეში მიდიხარ და ასე მხიარულად როგორ ხარო? — რამდენჯერ ჩაეძია ნიკუტა გიგილოს.**

**— ციხე დღეს თავისუფლების ზონააო, — მიუგო გიგილომ.**

**როგორც ჩანს, მოსწონს გიგილოს „ბიძინას ციხე“ — იცის, იქ არანაირი საფრთხე არ ემუქრება, კომფორტში და პატივში იქნება.**

**სადაც სამართალია, ნაცების ციხეში უნდა მოხვედრილიყო ეს ჩვენი პუტკუნა გიგი და იქ ვიაგრანაყლაპი, „კასტილებიანი კაცი“ რომ მიადგებოდა, მაშინ მიხვდებოდა კარგად, რა განსხვავებაა „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ შორის.**

**უგულავამ უკადრებული იკადრა და თავისი მცირეწლოვანი გოგონა (სხვათაშორის, ძალიან კარგი და საყვარელი გოგონა) იმ მდარე ხარისხის მელოდრამისთვის გამოიყენა საპიაროდ, რომელიც მან „დიდ რეჟისორთან“ — ნიკუტა გვარამიასთან ერთად დადგა.**

**ჩვენ ყველაფერს გაპატიებთ, მაგრამ ჩვენი შვილების ცრემლებს არაო, — გააფრთხილა ნიკუტამ ივანიშვილი.**

**ნიკუტა, შე დემაგოგო და ყალთაბანდო, არავინ არ აპირებს თქვენს შვილებს რაიმე დაუშავოს, მაგრამ თუ ვინმე რაიმეს უშავებს, ისევ თქვენ უშავებთ თქვენი არაკაცური და უღირსი საქციელებით.**

**შეიძლება თქვენს მიერ დაზომბირებული ადამიანების ნაწილი მოატყუოთ და გული აუჩვილოთ, მაგრამ მთელ ქართველ ხალხს ვერ მოატყუებთ.**

**თქვენ თვითონ გამოუტანეთ თქვენს თავს განაჩენი და ეს განაჩენი აუცილებლად უნდა აღსრულდეს — ზოგისთვის „პორცია-პორცია“, ზოგისთვის მთლიანად და ერთბაშად, ზოგისთვის — ახლა, ზოგისთვის — ორი, ათი, ან ოცი წლის შემდეგ...**

**„საერთო გაზეთი“**

**„ს.გ.“**

# ჰიტლერიდან მიშტლერამდე

## ანუ რით ჰგვანან ეს ნაცისტები იმ ნაცისტებს





ამას წინებზე ერთი ინგლისური ფილმი ვნახე („მტრის სახლში“), მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდია ასახული. დაბომბილ ჰამბურგში ბრიტანული ჯარები შედიან სიტუაციის დასალაგებლად. ქალაქი ნაცისტებისგან ბოლომდე გაწმენდილი არ არის, პერიოდულად ადგილი აქვს გამოხტომებს. ჯარისკაცები ფრთხილობენ, ნაბრძანები აქვთ, ცეცხლი მხოლოდ კრიტიკულ მომენტში გახსნან. ნაცისტების უმეტესობას ცოცხლად იჭერენ და დაკითხვაზე მიჰყავთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ადოლფ ჰიტლერის ყველა მიმდევარი იქით ადანაშაულებს ინგლისელებს, თქვენ ხართ მკვლელები, ჩვენი ქალაქი დაბომბეთ, უამრავი გერმანელი მოკვდა, დედას გიტირებთ, დავბრუნდებით და შურს ვიძიებთო. როდესაც მათ ეუბნებიან, თქვენ დიდი დანაშაული ჩაიდინეთ, 20 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლეთო და საკონცენტრაციო ბანაკებში გადაღებულ ფოტოებს წინ უდებენ, ნაცისტები მხრებს იჩეჩავენ, ამის შესახებ არაფერი ვიცითო.

გაიგონეთ? ნაცისტები ამტკიცებდნენ, არაფერი ვიცითო, სულ არაფერიო!

თქვენ გგონიათ, მართლა არ იცოდნენ? უბრალოდ, ეს იყო თავხედობის კლასიკური ნიმუში და დანაშაულის დაფარვის არნახული მცდელობა, რაც ზედმიწევნით კარგად აქვთ ათვისებული ჩვენებურ ნაცისტებს. უბრალოდ გერმანელებს ჰქონდათ უფრო ფართო მასშტაბები, თორემ ხელწერა და სულისკვეთება იგივეა. მაგალითად ავიღოთ თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას ამბავი: ის გახლდათ საკმაოდ „წონიანი“ ფიგურა სააკაშვილის ხროვაში. იმდენად „წონიანი“, რომ 2008 წლის ომში მთავარსარდლის მოადგილეობაც კი იკისრა. შემდეგ იყო რა? იმავე წლის აგვისტოში, როცა უკანმოუხედავად გამოიქცნენ და რუსთაველზე „გამარჯვება“ იზეიმეს, უგულავა შედგა სცენაზე და დასაკლავ ხბოსავით ბღაოდა. ეს კიდევ არაფერი, მან კანფეტივით შეირგო ბიუჯეტიდან მოპარული 50 მილიონი ლარი, ჩაჯდა ციხეში 3 წლით და გამოვიდა წელიწადნახევარში. ახლა კიდევ ედავებიან 50 მილიონს... როგორც ამბობენ, თბილი ტანსაცმელი გამზადებული აქვს, შეიძლება ამჯერად 11-წლიან „სროკზე“ გაუშვან. ჰოდა, ეს ნაგავი ყოველდღე გვიმძღვრავს ტელევიზიით, ყოველ საღამოს გვარწმუნებს, რომ საქართველო კორუფციის ჭაობშია. ამას წინებზე ერთ-ერთი არხის ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი ეკითხება, თქვენ დროს რომ კორუფცია იყო, ამაზე რას იტყვითო? უამრავი დანაშაული რომ ხდებოდა, არც ის გახსოვთო? იცით, ნაგავმა უგულავამ რა უპასუხა? პრინციპში, უპასუხა კი არა, იქით შეუტია, თქვენ აქ წარსულზე სალაპარაკოდ მომიყვანეთო? რაღა დროს ეგ არი, ჩვენ ახლა მხოლოდ მომავალი გვაინტერესებსო!

გაიგონეთ? მხოლოდ მომავალიო, 100 მილიონი რომ წავიღე სახლში, ეგ საინტერესო აღარ არიო, ეგ ბაზარი მოკვდაო, აწი მომავალზე ვიფიქროთო. თუ ნა-













თელი მომავალი გინდათ, ისევ ჩვენ უნდა დაგვაბრუნოთო!

დღეს ხშირად ხუმრობენ ხოლმე, ანუ ხშირად ავლებენ პარალელს გერმანელ ნაცისტებთან — აბა, წარმოიდგინეთ, ჰიტლერს რომ ეთქვა ომის შემდეგ, წარსულზე აღარ ვილაპარაკოთ, აწი მომავალზე ვიფიქროთო, როგორი სასაცილო იქნებოდაო. ჰმ... მერედა ვინ გითხრათ, რომ ჰიტლერი ასე არ იქცეოდა, სანამ კოალიციური ჯარები ბერლინში შევიდოდნენ? დიახ, როდესაც გერმანული ქალაქები იბომბებოდა, როდესაც მესამე რეიხი ეცემოდა, ჰიტლერმა თავის ამალასთან ერთად ბუნკერში გადაინაცვლა და იქიდან მოუწოდებდა რადიოთი გერმანელებს, ჩვენ გავიმარჯვეთო!

დაუკვირდით მიხეილ სააკაშვილის საქციელს, ზუსტად ჰიტლერისა და გებელსის „სტრატეგიით“ მოქმედებს. როგორ იქცევიან ნორმალურ ქვეყნებში ყოფილი პრეზიდენტები, როცა ორ ვადას ამოწურავენ ხოლმე? როგორ და... უბრალოდ მიდიან, ისვენებენ, ან ლექციებს კითხულობენ, თავიანთ სახელმწიფოებს ეხმარებიან. ეს არა, ეს ბოღმასა და ბალღამშია გახვეული, რაც იყო, რუსებმა დადგესო, არც არავინ მომიკლავს, არც არავინ დამიჭერია, არც არავისთვის მიწყენინებიაო, სუფთა ვარო, სადაცაა ფრთები ამომივაო. ადოლფ ჰიტლერიც ზუსტად ასე ქადაგებდა, ომი წაგებული ჰქონდა და იძახდა, მოვიგეთო, ჩვენ გავიმარჯვეთო, მალე დავბრუნდებითო. ამიტომაც იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა ე.წ. მსხვერპშეწირვა გერმანელების მხრიდან, ძალიან ბევრი ისე გახლდათ მოწამლული, თავებს იფეთქებდნენ, შხამიან ამპულებს ღეჭავდნენ, თუ საშუალება ჰქონდათ, ცეცხლსაც ხსნიდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ბევრმა არც კი იცოდა, ან გაგონებაც არ უნდოდათ, რომ ომი დამთავრდა, რომ ომი წააგეს.

არც ამათ უნდათ რამის დაჯერება და იმის გაცნობიერება, რომ თავიანთი ხეპრეობით ძალაუფლება დაკარგეს. ამიტომაც ურევენ ქვეყანას და ამიტომაც დარბიან „სვისტოკებით“. მეტიც, ესენი ვერ მიხვდნენ, რომ ახლა სხვა დროა, საინფორმაციო ტექნოლოგიები ისე განვითარდა, ტყუილზე დაფუძნებული იდეოლოგია აღარ გაუდით, სიცრუესა და სიბრიყვეს მხოლოდ თავიანთ მომხრეებს აკენკინებენ და იმათაც უხარიათ. ერთადერთი პრობლემა, რაც დღეს საშიშია ქვეყნისთვის, ეს გახლავთ მათი მხრიდან ჩამშვებთა ინსტიტუტების გაძლიერება. დაუკვირდით, „ნაციონალებისა“ და მათთან გათანაბრებული პირების, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის მთავარი ხელობა არის უცხოეთში სირბილი და შეთითხნილი ბრალდებების მიტანა ხან კონგრესში, ხან სენატში, ხან კიდევ ევროსაბჭოში. მერწმუნეთ, ამათი ლაი-ლაი არავის აინტერესებს, მაგრამ როცა ამ ლაი-ლაის თან დიდი „მაყუთი“ ახლავს, ბუნებრივია, ინტერესდებიან. არაერთხელ დავწერე, კონგრესსა თუ სენატში რომ კორუფცია მძვინვარებს, ეგეთი საბჭოთა კავშირშიც კი არ იყო, ამათ, ამ გადაღრძუებულმა პოლიტიკოსებმა შექმნეს რაღაც ლობისტური კომპანიები და მიდიიი... მაიტა ფული, შენი ვარ, გინდა თქვენს პრემიერ-მინისტრს გავუგზავნი „მკაცრ“ წერილს, გინდა — პრეზიდენტს, გინდა — ბიძინა ივანიშვილს. დავწერ ათას სისულელეს... უფრო სწორედ, დამიწერეთ, მაგის დრო და თავი სად მაქვს, თქვენი გულისთვის ტვინი ვიჭყლიტო? აი, ასე კეთდება საქმეები, ჩემო ძვირფასებო, მაგრამ ესეც რომ აღარ ჭრის, ამათ ვერ გაიგეს. თუმცა, რომც გაიგონ, მერე რა? არაფერი, ამათ ღალატი, ჩაშვება და ქვეყნის აოხრება ჯიშად და ჯილაგად მოსდგამთ. დიახ, ამათმა წინაპრებმა მოკლეს ილია ჭავჭავაძე, რადგან მაშინ სოციალ-დემოკრატები იყვნენ... ამათმა მამებმა და პაპებმა მოაწყეს 1937 წელი, რადგან მაშინ ბოლშევიკები იყვნენ... ამათ მოკლეს ზვიად გამსახურდია, რადგან მაშინ მოქკავშირელები იყვნენ და ისევ ამათ უნდათ დღეს ხელისუფლების დამხობა, ანუ ბიძინა ივანიშვილის მოკვდინება, რათა ისევ მიუსხდნენ ტაბლას ლეშის საჭმელად. უკაცრავად, ბატონებო და ქალბატონებო, მე არაფერს ვიგონებ, ვწერ იმაზე, რამაც ჩემს თვალწინ გაიარა. აბა, გაიხსენეთ, საიდან დაიწყო ზვიად გამსახურდიას დამხობის პროცესი? როცა უფროსმა ჯორჯ ბუშმა წამოაყრანტალა, ეს კაცი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო. რა უპასუხა გამსახურდიამ? დინების მიმართულებით მხოლოდ მკვდარი თევზები მიცურავენო. რაკი აშშ-ის პრეზიდენტმა თქვა, ე.წ. ოპოზიციისთვის ეს იყო „დაბრო“ და შემოზიდეს კიდეც რუსეთიდან ფული და იარაღი. ვინ დადიოდა მოსკოვში ედუარდ შევარდნაძესთან ფულის ჩამოსატანად? ჯოჯოხეთის მაშხალა ირინა სარიშვილი და მისი ქმარი გია ჭანტურია, დღეს ვიღაცები ჭკვიან პოლიტიკოსად რომ აცხადებენ.

სხვათა შორის... ორიოდე თუ სამიოდე კვირის წინ გარდაიცვალა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. მიუხედავად იმისა, რომ მე დასაწყისიდან დასასრულამდე მხარს ვუჭერდი გამსახურდიას, შემდგომში, პროფესიიდან გამომდინარე ახლოს ვიყავი სიგუასთან, მაინტერესებდა მაშინდელი მოვლენების დეტალები და რასაკვირველია, მისგან მიღებული ინფორმაცია ჩემთვის ღირებული იყო. ამ საუბრების ჩანაწერები გამოვაქვეყნე პრესაში. უნდა ვაღიარო, თენგიზ სიგუა გახლდათ ცოცხალი ენციკლოპედია და მან აღიარა კიდევაც, რომ რამდენიმე ადამიანთან ერთად (თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი) ჩაიდინა დიდი დანაშაული, რაც მათ გააკეთეს, ეს იყო წმინდა წყლის სამხედრო გადატრიალება. გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრე მას უნდოდა წიგნის გამოცემა, სადაც დეტალურად იქნებოდა აღწერილი ყველაფერი. ვინაიდან სიგუას მონათხრობის დიდი ნაწილი ჩემს ხელში იყო, მისმა მეუღლემ რამოდენიმეჯერ მთხოვა, უკვე დაბეჭდილი მასალები დამელაგებინა, გამესწორებინა, რაღაც-რაღაცები დამემატებინა





და შემდეგ თვითონ გამოსცემდნენ. იდეა არ იყო ურიგო... თუმცა ვერ შევძელი, საკუთარ თავს ვერ მოვერიე და რაც მთავარია, არ მინდოდა, მის წიგნში ჩემი გვარი დაფიქსირებულიყო. ალბათ შემეძლო, გვარის დაფიქსირებაზე უარი მეთქვა, მაგრამ საკუთარ თავთან ხომ მაინც არ ვიქნებოდი მართალი? გარდა ამისა, ამ უარით მას მივაყენებდი შეურაცხყოფას.

ახლა კი მთავარი: ნახეთ, როგორი მძაფრი რეაქცია მოჰყვა ქართულ საზოგადოებაში თენგიზ სიგუას გარდაცვალებას? ნახეთ, როგორი წყევლა და კრულვა ჩააყოლეს საფლავში? ისტორიამ მაინც თავისი გაიტანა, ისტორიამ ის მოღალატედ შერაცხა... და მერე? აქედან ვინმემ ჭკუა ისწავლა? ვინმემ დასკვნა გამოიტანა? არა, ჩვენ ყოველდღიურად ისევ გვესმის, რომ დაამხობენ ხელისუფლებას, თუ ვერ გაასწრო ბიძინა ივანიშვილმა, წაართმევენ ყველაფერს, დაიჭერენ, მერე ჩვენც გაგვისწორდებიან, ცხოვრებას გაგვირთულებენ, დაგვაპატიმრებენ და ასე შემდეგ!

ვიმეორებ: თენგიზ სიგუას სიკვდილმა ვინმეს რამე ასწავლა? არა, პირიქით, თუ კოტე გაბაშვილმა ზვიად გამსახურდია მოინელა, მისი შვილი გოკა ბიძინა ივანიშვილს ემუქრება... თუ გიგა ბოკერია, გია ბარამიძე და მისთანანი მაშინ ავტომატებით დარბოდნენ, ახლა ივანიშვილს უქნევენ მუშტებს. ამათ იარაღი აღარ აქვთ, უკვე სხვა დროა, თორემ დიდი სიამოვნებით გადაბუგავდნენ რუსთაველის პროსპექტს. გახსოვთ, როგორ აუშარდნენ ძმები ბერძენიშვილები გამსახურდიას? მეც მახსოვს, ჯერ შეუძვრნენ, უზენაეს საბჭოში მოხვდნენ, შემდეგ კი დარბაზში მიკროფონებს უყირავებდნენ. ნახეთ, ხალხო, ამათ იგივე ხელწერა აქვთ, იგივე სტილი და მეთოდი, ივანიშვილს ჯერ შეუძვრნენ, ახლა კი ყელის გამოსაჭრელად იწევენ!

ადრეც დავწერე და გავიმეორებ: იმ პერიოდში, როცა გამსახურდიას ე.წ. ინტელიგენცია აუმხედრდა და ცნობადი სახეები ტელევიზიის კიბეზე საპროტესტოდ ჩამოსხდნენ (მათ შორის მერაბ კოსტავას ცოლი), მაშინ იქ ვმუშაობდი, იმ შენობაში, ტელერადიო კომიტეტში. ერთ დღესაც ბორის ელცინთან გასაგზავნი წერილი ჩამოატარეს ოთახ-ოთახ, გინდათ თუ არა, ხელი მოაწერეთო. იცით, რა ეწერა იმ წერილში? ბორის ნიკალაევიჩ, გამსახურდიამ საქართველოში პროვინციული ფაშიზმი დაამყარა, გთხოვთ, დაგვეხმაროთო. მიუხედავად იმისა, რომ ხელის მოწერა სავალდებულო იყო, მე მაინც არ მოვაწერე, წავედი სახლში, ცოლ-შვილს მოვკიდე ხელი და წავიყვანე კახეთში. გულშინდელივით მახსოვს 1992 წლის 6 იანვარი, როცა ტელევიზორში დამპალი თენგიზ ნათაძე გამოვიდა სამხედრო „ბუშლატით“ და გვაუწყა, გამსახურდია ოჯახთან ერთად თბილისიდან გაიქცაო. არ ვიცი, რომელი საათი იყო, კახეთშიძალიან ციოდა, თითქოს დრო გაჩერდა, ყველაფერი გაიყინა, ბოლო წუთამდე მაინც მჯეროდა, რომ უფალი არ გავწირავდა... მაინც მჯეროდა, რომ გამსახურდია გაუძლებდა და მოღალატეები დამარცხდებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა კი... ახლა ისევ ისინი, ის დამპალი თესლისგან აღმოცენებულნი და მათი შთამომავლები მორალს მიკითხავენ, ისევ მათ აქვთ პრეტენზიები, ქვეყანა უნდა გადავარჩინოთო!

და კიდევ რით ჰგვანან ეს ნაცისტები იმ ნაცისტებს? ე.წ. „ჟილკით“, საკუთარ თავზე გადაფსმით, ყველაფრის კადრებით, სიგიჟით, ცოფიანობით, არაადეკვატური გამოხტომებით. ამათ ჰგონიათ, რაც უფრო მეტად მოიგიჟიანებენ თავებს, მით მეტად დაზაფრავენ და შეაშინებენ საზოგადოებას. არადა, ზემოთაც აღვნიშნე, ახლა სხვა დროა, ამათი აღარავის ეშინია და საერთოდაც არავის არავისი ეშინია. როდესაც აქუს ცოლი ნინო ჯანგირაშვილი გამოდის და აცხადებს, ლავროვი თბილისში არ დავინახო, თორემ ეგრევე დაგამხობთო, ეს ხომ სასაცილოა? ვინა, კაცო, ამან, ამ საცოდავმა ვინ და როგორ უნდა დაამხოს? შეხედეთ ნიკა გვარამიას, მკვლელსა და მავნეს (ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა მაგის კისერზეა), ლამის ყოველდღე გვამხობს, გვხოცავს და გვაგინებს. ეს უნიფხვო ურჩხული ყველას გვიმახსოვრებს, როცა დავბრუნდებით, შემდეგ მოგივლითო!

თქვენ გგონიათ, ესენი წიგნებში იქექებიან და ადოლფ ჰიტლერისა თუ გებელსის ნაშრომებს კითხულობენ? არა, მათში ორიოდე წიგნი წაკითხული ორიოდეს თუ ექნება. ალბათ გახსოვთ, 2012 წლის შემდეგ საზოგადოებაში დატრიალდა



მოსაზრება, „ქართულ ოცნებას“ კადრები არ უვარგა, სააკაშვილის „სასტავში“ უფრო განათლებულები და პროფესიონალები იყვნენო. ეგ მითიც „ნაციონალების“ შემოგდებული იყო, სინამდვილეში მაგათ „თხა და გიგოც“ კი არ აქვთ წაკითხული. ამას მოაყოლეს კიდევ ერთი მითი „ქართული ოცნების“ უნიათობის თაობაზე, ამაზე ძირითადად ნუგზარ წიკლაური მუშაობდა. თუმცა ბოლო დროს ეს მითიც დაემსხვრათ. ამ უტრაკო ყარაჩოხლებმა 2012 წლიდან მოყოლებული ყველა არჩევნები წააგეს, ქუჩაში 200 უდღეურზე მეტი ვეღარ გამოჰყავთ, 50 სულელს დაარბენინებენ ალმა-დალმა, ლამისაა ტანსაცმელი შემოიხიონ ტანზე და კიდევ „ოცნებაა“ უნიათო?!

წიგნების წაკითხვაზე მოგახსენებდით... ამათი მთავარი იდეოლოგი არის გიგა ბოკერია, ჩრდილში მდგომი რამიშვილ-ქეციანაშვილები და კიდევ ერთი-ორი ამათნაირი ვითომ ჭკვიანი. ეს ყავლგასულები უდგენენ სამოქმედო გეგმებს თავიანთ მომხრეებს, უტენიან თავებში ნაცისტურ იდეოლოგიას და ავირუსებენ გამოთაყვანებულ ადამიანებს. შეხედეთ რიგითი „ნაციონალების“ სახეებს, მათი გამომეტყველება, ფიზიონომია, ქცევის მანერები ხელოვნურია, ყალბია. ზუსტად ასეთები იყვნენ ჰიტლერის რიგითი მიმდევრები, ძალიან ბევრი კარგი ადამიანი იყო, იმათ ჯარში ჩარიცხული ყველა მკვლელი არ გახლდათ, მაგრამ მთელი მსოფლიოსთვის უნდა ეჩვენებინათ მრისხანება, რათა შეექმნათ თავიანთი უძლეველობის იმიტაცია და დაემკვიდრებინათ დანარჩენი ერების არასრულფასოვნება. დაუკვირდით ჩვენებური ნაცისტების მრისხანე გამომეტყველებას, დაუნდობელ მზერას, მეტყველების მანერას (არაფერი მოსწონთ, არაფერს აღიარებენ), დგომის სტილს (ფეხები მხრების სიგანეზე), გვაჩვენებენ, რომ ისინი უფრო მყარად დგანან მიწაზე, ვიდრე ჩვენ. სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირადაა, ის ნაცისტები, რომლებიც მსოფლიოს აშინებდნენ, კრიტიკულ მომენტებში ლაჩრები იყვნენ. ასევე, ეს ნაცისტებიც კრიტიკულ მომენტებში ლაჩრები არიან, საკმარისია, ვინმემ ბუზი აუფრინოთ, ვინმემ ხელი აუქნიოთ, ეგრევე პროკურატურასა და პოლიციაში გარბიან საჩივრით. ახალგაზრდობაში ვის არ უჩხუბია, მუშტი ვის არ მოხვედრია? ხან ისე ყოფილა, ხან ასე, ხან მორიგებულან, ხან ვერა, მაგრამ ხელის ერთ აქნევაზე პოლიციაში სირბილი სირცხვილად ითვლებოდა. ამათთვის ეს უცხოა, არც კაცობა არსებობს და არც ადამიანობა, არც მეზობლობა, არც უბნელობა, არც მეგობრობა. სწორედ ამათი ბაბუები და ბებიები უშვებდნენ 1937-ში ახლობლებს, ნაცნობებსა თუ ნათესავებს, აჭერინებდნენ, აპატიმრებინებდნენ, აციმბირებინებდნენ.

უკვე მესამედ ვამბობ: ახლა სხვა დროა, ყველაფერი შეიცვალა, ბევრი რამ გადაფასდა, სამყარო უფრო გამჭვირვალე გახდა, მაგრამ ამათთვის არაფერი შეცვლილა, რაკი ერთხელ გაუვარდათ (2003-ში), ჰგონიათ, 1939–1945 წლების ნაცისტური მეთოდებით ფონს ისევ გავლენ. არა, ვერა და არა, ბატონებო, საქართველოში დამხობა-გადამხობის დრო 2012-ში დასრულდა. ახლა კი დროა, სოლომონ, რომა... ის ნაგავი გავხვეტოთ, სადაც დამამხობლები არიან მოკალათებულნი. დიახ, ჭაობი უნდა დაშრეს და ვიმედოვნებ, ასეც იქნება ამა წლის შემოდგომაზე.



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# რაში უნდა მიბაძოს საქართველომ ირანს?

## ირანელები თვლიან, რომ მათი სახელმწიფოს სიძლიერე ნავთობზე კი არა მათ მწერლობასა და კულტურაზე დგას



*გვესაუბრება პოეტი, მთარგმნელი, ირანისტი ნომადი ბართაია:*

**— ბატონო ნომადი, თქვენ ირანისტი ბრძანდებით და ხშირად გიწევთ ირანში მოგზაურობა. როგორი ქვეყანაა დღეს ირანი?**

— ამ საკითხით დაინტერესებას მივესალმები. ირანი, ისტორიულად, ჩვენი მეზობელი ქვეყანაა. ჩვენ, ყოველთვის, ერთ კულტურულ არეალში ვცხოვრობდით. ამჟამად, ირანთან ურთიერთობები ახალი კუთხით ვითარდება. მას მერე, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, ირანი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ჩვენი დამოუკიდებლობა სცნო. ამ დროიდან ირანს საქართველოსთან ახლო, მჭიდრო ურთიერთობა აქვს. ყველა მიმარ-



თულებას არა, მაგრამ კულტურის სფეროს ეს ნამდვილად ეტყობა. ფაქტობრივად, ამ მძიმე წლებში, საქართველოში ირანისტიკის განვითარებას თავად ირანმა ძალიან შეუწყო ხელი — ირანისტიკის კაბინეტების მოწყობიდან დაწყებული ლიტერატურის მომარაგებით დამთავრებული, ყოველმხრივ ეხმარებიან. ასევე, გარკვეული რაოდენობის სტუდენტებს, ფინანსურად — სწავლის ქირის გადახდაშიც უწყობენ ხელს. ჩნდება კითხვა: ირანი ასე მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში იქცევა? — არა, მას, მსოფლიოს მიმართულებით, თავისი კულტურისა და ენის მიმართ გარკვეული პოლიტიკა აქვს შემუშავებული. 1979 წელს ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ ქვეყანა გაპარტახებული, ხოლო ეკონომიკა თავიდან ასაწყობი იყო. ამ დროს, ირანის ლიდერმა განვითარების ერთ-ერთ ნომერ პირველ ამოცანად სპარსული ენისა და ლიტერატურის, ირანული კულტურისადმი ხელშეწყობა და ზრუნვა დაისახა. რატომ? — იმიტომ, რომ მათ იციან: ქვეყანას მხოლოდ კულტურა გადაარჩენს. დიახ, ირანი როგორც სახელმწიფო, სწორედ, კულტურით გადარჩა. ეს კურსი არ დაუკარგავს. საქართველოში ირანისტიკის ცენტრი ფუნქციონირებს, რომლის მსგავსი მსოფლიოში ასეულობითაა. ყველა მათგანს ირანი კურირებს. მან იცის: რაზე უნდა იდგეს ქვეყანა — ეს არის კულტურა. აი, რა უნდა ვისწავლოთ სხვებისგან, იგივე, მეზობლებისგან. მოგეხსენებათ, ირანს არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი ჰყავს. მათი სახელობის დღეები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება. მაგალითად, ხაიამის, რუმის, ფირდოუსის, ჰაფეზის და სხვათა. საქართველოში, ირანისტები, ამ დღეებს კულტურის ცენტრებში აღვნიშნავთ. წარმოგიდგენიათ, რაოდენ პომპეზურად აღნიშნავენ ისინი ამ პოეტების საიუბილეო თარიღებს?! ავიღოთ, ფირდოუსის იუბილე, რაც მთელი მსოფლიოსთვის ზეიმია და დღესასწაული ერთ კვირას გრძელდება. ქვეყანა თავიანთი პოეტებისა და სახელოვანი შვილების საიუბილეო თარი-



ღებიდან თარიღებამდე ცხოვრობს. ეს მისაბაძი და მისასალმებელია. უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების მერე, ირანსა და საქართველოს შორის თანაბარუფლებიანი სახელმწიფოებრივი კავშირის დამყარება, პირველად მოხდა. მანამდე, ასეთი რამ, არ ხდებოდა. თუკი ადრე პოლიტიკურად ირანზე ვიყავით დამოკიდებულნი, ახლა, ეს ურთიერთობა თანაბარ დონეზეა. ასევე, გვეძლევა ფორუმებში მონაწილეობის საშუალება.

**— თქვენ, 1979 წლის რევოლუცია ახსენეთ. რა სხვაობაა რევოლუციამდელ და მის შემდგომ ირანს შორის?**

— ერთი რამ აშკარაა — საზოგადოებებს შორის გათანაბრების პროცესი დაიწყო. მანამდე, საშუალო ფენა არ არსებობდა, არამედ იყვნენ მხოლოდ უკიდურესად მდიდრები და უკიდურესად ღარიბები. რევოლუციის შემდეგ კი, საშუალო ფენა წარმოიშვა. გაჩნდა უბრალოებისაკენ მიდრეკილება. გავლენიანი, პროფესორი კაცი რიგითი მოქალაქისგან შეიძლება ვერც გაარჩიო. ხალხის პრობლემები წინა პლანზე დგას. რევოლუციის მერე, ასევე, დიდი ყურადღება სწავლა-განათლებას მიექცა. თითქმის ყველა ქალაქში ახალი უმაღლესი სასწავლებლები აშენდა. ახლა, ქალაქის გარეუბანში საუნივერსიტეტო ქალაქი შენდება თავისი ინფრასტრუქტურით. ასე, რომ სწავლა-განათლებას, უცხოური ლიტერატურის თარგმნას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა. შეიძლება ითქვას, რომ ირანი ერთ-ერთ მთარგმნელობით ინდუსტრიად იქცა. არ არსებობს ღირებული ლიტერატურა რომელიც ირანში არ თარგმნილა.

**— რას იტყვით, ირანი, რევოლუციის მერე, უფრო ჩაკეტილი ქვეყანა ხომ არ გახდა?**

— ბუნებრივია, ასეა. იგი ყველასთვის, ერთნაირად, მისაღები ვერ იქნება. თუმცა, ირანი ცდილობს, თარგმანის მხრივ, შეზღუდვა, ჩაკეტილობა არ იყოს. მსოფლიოში თუ რამ ღირებული არსებობს ყველაფერი ითარგმნება. ირანელები საოცრად ეპყრობიან საკუთარ ენას. ირანისტი ვარ და ხშირად მიწევს იქ ჩასვლა. პირველი რასაც მეკითხებიან არის შემდეგი: როგორ მოგწონთ სპარსული ენა, ხომ ტკბილი და კარგი ენააო. მშობლიური ენისადმი პატივისცემა, ირანელებს, სისხლში აქვთ გამჯდარია. სპარსულ ენას რომ შეუქებ, უხარიათ და თვალებში შემოგციცინებენ. აქ, ჩანს თავიანთი ენის, კულტურისა და წარსულისადმი პატივისცემა, მოწიწიება და სიყვარული. ირანის ლიდერი ამბობს: 2050 წლისთვის მსოფლიოში მედიცინის საერთაშორისო ენა სპარსული იქნებაო. ასე იქნება თუ არა, არ ვიცით, მაგრამ ისინი ამ საკითხზე სერიოზულად ფიქრობენ, ყურადღება აქეთკენ აქვთ მიმართული. ორი კვირა ირანის ენისა და ლიტერატურის აკადემიაში მივლინებით ვიმყოფებოდი. ბუნებრივია, ასეთ დროს, ყველაფერს, ქართულს უდარებ. დააკვირდით, როგორ შემოდის ჩვენთან უცხო სიტყვები ახალი ტექნოლოგიების შედეგად. ინგლისურენოვანმა წარწერებმა და სლენგებმა წაგვლეკა. ეს, საშინელებაა. ირანის აკადემიაში უცხოტერმინთა დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია შეიქმნა, სადაც ტომები გამოიცემა იმის თაობაზე, თუ როგორ შემოიღონ ესა თუ ის ტერმინი. აღნიშნული კომისია ნებისმიერ უცხო სიტყვას განიხილავს, გადის ადაპტირებას და მერე თარგმნის. იცით, კიდევ რას აკეთებს ეს კომისია? — ყველაზე საუკეთესო საეთერო დროს, როცა ჩვენ თავი ბალიშზე გვიდევს ან ინდურ სერიალებს ვუყურებთ, აღნიშნული კომისია სატელევიზიო ეთერშია და ამა თუ იმ უცხო სიტყვას ირანელ ხალხთან ერთად საჯაროდ განიხილავს. ეს მაგალითი იმის აღსანიშნად მოვიყვანე, რათა მკითხველი მიმეხვედრებინა: როგორ ეპყრობიან ირანელები თავიანთ ენას.

**— ჩვენ, მცირერიცხოვანი ერი ვართ და მით უფრო უნდა ვზრუნავდეთ საკუთარ ენაზე. არადა, აქ, პირიქით მოხდა: პირველი რაც გააკეთეს, ენის პალატა გააუქმეს.**

— ისმის კითხვა: რით უნდა მოვიწონოთ თავი თუ არა ჩვენი ენით და კულტურით, იგივე, „ვეფხისტყაოსანით“, ხომ. ამ დროს კი როგორ ვიქცევით? — შარშან, „ვეფხისტყაოსანს“ იუბილე არ გადავუხადეთ. ეს ხომ საშინელებაა. რამდენიმე წლის წინ, ირანში, საადის ინსტიტუტი შეიქმნა. ეს გოეთეს ინსტიტუტის მსგავსია, ოღონდ, უფრო დიდი. საადის ინსტიტუტი მთელს მსოფლიოში სპარსული ენის გავრცელებას კურირებს. კიდევ რა არის მთავარი კულტურასთან მიმართებაში, იცით? — თეირანში, აბას აბადის უბანში, გამოყვეს ადგილი ერთიანი კულტურული ცენტრისთვის, რომელსაც აბას აბადის ბაღები უწოდეს. აქ, არის როგორც წიგნის, ისე ფილოსოფიის, მუსიკის და ა.შ. ბაღები. სულ ექვსი თუ შვიდი ბაღია. ეს ერთი დიდი კომპლექსია ანუ, მთელი კულტურული ცენტრი ერთ ადგილას იყრის თავს. ზოგი ბაღის მშენებლობა ახლაც მიმდინარეობს, ზოგიც დამთავრებულია. მაგალითად, ირანის ეროვნული ბიბლიოთეკის მშენებლობა უკვე დასრულებულია, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი საოცრებაა. მას მარტო 58 დარბაზი აქვს, 24 საათი მუშაობს და ხალხს უფასოდ ემსახურება. თეირანში ყოველ წელიწადს ტარდება წიგნის საერთაშორისო გამოფენა. ახლა, ამ ახალ უბანში წიგნის ბაღში, ყოველდღიურად, მუდმივმოქმედი გამოფენა მოეწყობა.

**— ბატონო ნომადი, ირანში ქრისტიანული ძეგლები თუ არის?**

— თეირანში არის 13 სომხური ეკლესია. სომხებს, აქ, დიდი დიასპორა ჰყავთ. ფერეიდანს რაც შეეხება, იქ, ქრისტიანული ძეგლები არ არის.

**— ირანს არაერთი გამორჩეული პოეტი ჰყავს. როგორია თანამედროვე ირანული კულტურა. რით განსხვავდება ძველი კულტურისგან, რა პროგრესი განიცადა?**

— მოდით, ასე ვთქვათ: ყველა ვამბობთ: სპარსული, ირანული კულტურა უდიდესია. ეს მართლაც ასეა. მოგახსენებთ, თუ რით არის ეს განპირობებული: მე-12 საუკუნეში ირანი სელჩუკებმა დაიპყრეს. აქ, მათ ეროვნული კულტურა, ენა, სახელმწიფო წყობა დახვდათ. ყველა დამპყრობელი ცდილობს დაპყრობილ ქვეყანას საკუთარი ენა მოახვიოს თავს, მაგრამ ეს პროცესი ადვილი არ არის. სელჩუკებმა ირანული ენა თავის ფუნქციებში დატოვეს. ირანული ენა და კულტურა, თავისთავად, დიდია. არაბობის მერე, ახალი ირანული დინასტია წარმოიშვა და სპარსული ენა, ლიტერატურა ხელახლა აღორძინდა. ამ ვითარებაში, სელჩუკებმა სპარსული სახელმწიფო ენად დატოვეს. სელჩუკები მხოლოდ ირანის დაპყ-







რობას არ დასჯერებიან, არამედ ახლო-აღმოსავლეთში თავიანთი იმპერიის გაფართოება დაიწყეს და სულ მალე, პოლიტიკურად, მთელი ახლო-აღმოსავლეთი დაიპყრეს. მოხდა ისე, რომ ამ იმპერიაში სპარსულ ენას გასაქანი მიეცა. მთელი ახლო-აღმოსავლეთი, პოლიტიკურად, სელჩუკებს დაემორჩილა, ხოლო ლიტერატურულად — სპარსულ ენას. ამ ვითომ დაპყრობილმა ირანმა, თავისი კულტურითა და ენით დამპყრობი სელჩუკები და მთელი მათი იმპერია დაიპყრო. ამ დროს, უკვე, სპარსულ ენაზე წერდნენ არამხოლოდ ეთნიკურად ირანელები, არამედ ყველა ახლო-აღმოსავლეთში შემავალი ხალხები. აი, ამიტომ არის დიდი სპარსული მწერლობა — მას მხოლოდ ერთი ერი კი არ ქმნიდა, არამედ მთელი ახლო-აღმოსავლეთის ეთნოსი. გამონაკლისი მხოლოდ ჩვენ ვიყავით. რატომ? — იმიტომ, რომ დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკები საქართველოში არ შემოუშვა და პოლიტიკურად ამ პროცესს გავემიჯნეთ. აღმაშენებელის დროს, ჩვენ, ცალკე სახელმწიფო ვიყავით. დავითმა სპარსეთს პოლიტიკურად გადაუკეტა გზა, მაგრამ ირანულ იმიტომ, რომ ორი ცივილიზაციის გადაკვეთა, დიალოგი მოხდა.

**— რა გავლენა იქონია ყოველივე ამან ქართულ კულტურაზე?**

— მოგახსენებთ. ჩვენ, ბრმად თვით ქრისტიანულ ლიტერატურასაც არ ვლებულობდით. თარგმანებში ისე დავშორდით ქრისტიანულ ძეგლებს, რომ ხელმეორედ შეიქმნა სათარგმნი. ქართველ ხალხს, რაღაცნაირი, შინაგანი თავისუფლება გვაქვს. მონური ერთგულებით არასდროს არაფერს ვღებულობდით. წარმოიდგინეთ, როგორ მოვეპყრობოდით არაქრისტიანულ, არარელიგიურ ლიტერატურას. ეს ის დროა, როდესაც ევროპაში ბიბლიურ წიგნებს დიდი სიფრთხილით თარგმნიან. ჩვენ, ქრისტიანობაში ჩვენი თავისუფლების საკუთარი ნაკადი შევიტანე თ. თქვენ, გავლენაზე მკითხეთ: სანამ მე-12 საუკუნეში დიდი საერო მწერლობა გვექნებოდა, მანამდე ბერძნულ სამყაროსთან კავშირში ვიყავით. უზარმაზარი ჰაგიოგრაფიული სასულიერო მწერლობა გვაქვს. მერე, პარალელურად, ურთიერთობა აღმოსავლურ სამყაროსთან — სპარსულენოვან ლიტერატურასთან დავიჭირეთ და უკვე ჩნდება ახალი სახის — მეორე საერო ლიტერატურა, რომელიც



ლიტერატურას ფართო ასპარეზი მისცა. ამ დროს ითარგმნა „ვისრამიანი“ რომელიც დღემდე შემოვინახეთ. ასევე, შაჰნამე და სხვა მრავალი, რამაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია. პირველი შეხება დიდ სპარსულ ლიტერატურასთან მე-12 საუკუნეში გვქონდა. ეს იყო არამარტო სპარსელების, არამედ სპარსულენოვანი ხალხის მწერლობა. ამიტომაც ასე ვამბობთ: სპარსული და სპარსულენოვანი მწერლობა. მაგალითად, ნიზამი განჯელი სპარსულენოვანი პოეტია, მაგრამ იგი აზერბაიჯანელია. ასევე, ჯალალ ედ-დინ რუმი ავღანეთში დაიბადა, მერე, თურქეთში ცხოვრობდა და სპარსულად წერდა. მას სამი ქვეყანა იჩემებს. ჩვენთან, ეს პრობლემა, არ ყოფილა. ვთქვათ, ჩვენ გვყავს რუსთაველი, რომელიც ეროვნებითაც ჩვენია და ლიტერატურითაც. იმიტომ, რომ ჩვენ, დამოუკიდებელნი ვიყავით, მხოლოდ შემოგვქონდა ის, რაც კარგი იყო. ჩვენი საერო მწერლობა მე-12 საუკუნეში ამ ორი კულტურის — ქრისტიანულისა და აღმოსავლური ლიტერატურის გადაკვეთაზეა შექმნილი. მე-12 საუკუნემდე გვაქვს წამება, მარტვილობა. „ვეფხისტყაოსანის“ და ზოგადად, საერო მწერლობის ვულკანი უცებ, ამოფეთქავს. მანამდე, მხოლოდ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები გვქონდა. უცებ, გაჩნდა საერო მწერლობა. რატომ? — ამ ურთიერთობებიდან არის განვითარებული. ბერძნებთან და აღმოსავლეთთან ურთიერთობამ ჩვენს ლიტერატურაში თავისი კეთილი კვალი დატოვა. განა ვინმე იტყვის, რომ ჩვენი ნაწარმოებები სხვა ლიტერატურის გავლენითაა დაწერილი? ყველა ორიგინალია. თუნდაც, „ვეფხისტყაოსანს“ ვინ დაიბრალებს ჩვენიაო. მსოფლიოში მსგავსი არსად, არაფერი დაწერილა.

**— როგორ ფიქრობთ, რით იყო განპირობებული ირანში ქართველების წარმატება?**

— მოგახსენებთ, როგორ წინაურდებოდნენ იქ, ქართველები. ქართველი ხალხი საოცრად ნიჭიერი და ბრძოლისუნარიანია. ყველაზე მეტად ჩვენთან ახლოს სეფიანთა ხანაა, სადაც ყველაფერი თვალნათლივ ჩანს, ისტორია არ დაკარგულა. სეფიანთა ხანაში საქართველო და აღმოსავლეთი ირანის პოლიტიკური მფარველობის ქვეშ შედიოდა. ალავერდი-ხანი — გამაჰმადიანებული ქართველი გვარად უნდილაძე შაჰ-აბასის გვარდიის მთავარსარდალი იყო. მან შექმნა არმია, რომელმაც ირანს წარმატება მოუტანა. ალავერდი-ხანს ორი შვილი ჰყავდა. ფაქტობრივად, ირანი ამ სამი ქართველის ხელში იყო. იმამყული-ხანს — ალავერდი ხანის შვილს, ახლახან, დაუდგეს ძეგლი იმიტომ, რომ მან პორტუგალიელებისგან იხსნა ხორმუზის სრუტე და ირანს თავისი ტერიტორიები







დაუბრუნა. ეს ქართველების უნარიდან გამომდინარეა. შაჰ-აბასის ძირითადი დასაყრდენი ძალა ქართველებისგან შედგებოდა. იგი თავის თურქმანულ ტომებს უკვე აღარ ენდობოდა, ხოლო ქართველების მიმართ დიდი ნდობა ჰქონდა. ბევრი გამაჰმადიანებული ქართველი, სპარსული პოეზიის მსახური იყო. მინდა ორიოდ სიტყვა ფერეიდნელებზეც მოგახსენოთ: შაჰ-აბასმა ქართველობა რამდენიმე რაიონში ჩაასახლა. დროთა განმავლობაში, ფერეიდნელების გარდა, ადგილმდებარეობა ყველამ შეიცვალა. საოცარია როგორ დარჩა ფერეიდანი იმავე ადგილას, არადა სავსებით შეეძლო ათქვეფილიყო. მით უმეტეს, რომ მის ირგვლივ სხვადასხვა ირანული ტომების ხალხები იყვნენ. ფერეიდნელებმა ენა შეინარჩუნეს. ზოგმა სპარსული, წესიერად, არ იცის. ჩვენ, ფერეიდნელების სახით, შეგვიძლია სარკეში ჩავიხედოთ და თვალნათლივ დავინახოთ როგორები ვიყავით მე-17 საუკუნეში — როგორ ვლაპარაკობდით, რა ზნე და ხასიათი გვქონდა, თურმე, რა კარგები ვყოფილვართ. ფაქტია, რომ ფერეიდნელებში, მთელი ამ ისტორიის განმავლობაში, ქართველს არ მოუკლავს ქართველი. აქ, არ ვიცი რა გვჭირს, გადაგვარებულები ვართ. ფერეიდნელები ყველანაირად მისაბაძნი არიან მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუსულმანები არიან. ეს მათ ხელს სულაც არ უშლით ქართული სული ჰქონდეთ.

**— თქვენ, მთარგმნელი ბრძანდებით და საინტერესოა იზიარებთ თუ არა მოსაზრებას, რომ თარგმანში ბევრი იკარგება. ზოგადად, ჩვენთან რამდენად განვითარებულია ეს მიმართულება?**

— საერთოდ, წარსულში ქართულ ლიტერატურას სპარსულთან შეხება ორჯერ ჰქონდა — ერთი, მე 12-საუკუნეში დავით აღმაშენებელისა და თამარის დროს. მაშინ, ჩვენ, ირანზე დამოკიდებული არ ვიყავით. პირიქით, დამოუკიდებელი სახელმწიფო, თითქმის იმპერია ვიყავით, აქეთ ვცემდით მას შიშის ზარს. და სწორედ მაშინ, ჩვენ, დიდი სიახლოვე გვქონდა სპარსულენოვან და სპარსულ მწერლობასთან. მე-20 საუკუნიდან, ეს პროცესი, ისევ აღდგა. პირველი ვინც სპარსულიდან თარგმნა ამბაკო ჭელიძე გახლდათ. იგი თეირანში საბანკო საქმეებთან დაკავშირებით იყო ჩასული. იქ, ისწავლა ენა და რომ ჩამოვიდა სპარსული ლიტერატურის ნიმუშების გამოქვეყნება დაიწყო. ამით ჩაეყარა საფუძველი უკვე მესამედ სპარსული მწერლობის თარგმანს. როცა 1918 წელს ივანე ჯავახიშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტი დააარსა, კარგად იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ერის ისტორიისთვის, კულტურისთვის აღმოსავლეთმცოდნეობას. ამიტომ დააარსა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, მათ შორის, ირანისტიკის დარგი. ქართველმა ირანისტებმა მთარგმნელობითი საქმიანობა საკუთარ მხრებზე იტვირთეს. თითქმის ყველა ქართველი ირანისტი მთარგმნელობით არის დაკავებული. ძველი სპარსულიდან გიორგი ახვლედიანმა შესანიშნავად თარგმნა „ავესტა“. ასევე, გამოირჩევიან მთარგმნელები: მზია ანდრონიკაშვილი, მაია სახოკია. საშუალო სპარსულიდან არაჩვეულებრივად თარგმნა თეო ჩხეიძემ. ახალი სპარსულიდან აღსანიშნავია მაგალი თოდუას და ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანები, რაც პოეზიის ნიმუშებია. ასევე, პოეზიის კუთხით, არაჩვეულებრივი მთარგმნელები არიან: ბელა შალვაშვილი, გიორგი ლობჟანიძე, ალექსანდრე ელერდაშვილი, ზეზვა მედულაშვილი. შემოგვემატა ახალგაზრდა მთარგმნელი გიორგი ხულორდავა. მისი თარგმანები მალე ცალკე კრებულად გამოვა. ასევე, წარმატებით თარგმნეს თანამედროვე სპარსული პროზა: თენგიზ კეშელავამ, მზია ივანიშვილმა, თეა შურღაიამ, მზია ბურჯანაძემ და ა. შ. ქართველი ხალხი ნამდვილად განებივრებულია ძველი, საშუალო და ახალი სპარსული ლიტერატურის თარგმანებით. რაც შეეხება თქვენს კითხვას: იკარგება თუ არა დედნის სიდიადე თარგმანში? ჩვენ, მოგვწონს სპარსული პოეზია. ეს მარტო იმიტომ კი არა, რომ სპარსული პოეზია მართლაც კარგია, არამედ იმიტომაც, რომ კარგი თარგმანებია. ჩვენთან, ნამდვილი პროფესიონალები თარგმნიან, შემთხვევითი კაცი ამას ხელს არ ჰკიდებს. ჩვენი მთარგმნელები, ზოგჯერ, მხატვრული თვალსაზრისით, მეტოქეობასაც კი უწევენ ორიგინალს. რა თქმა უნდა, თარგმანში რაღაც ყოველთვის დაიკარგება, მაგრამ სპარსული პოეზიაც და პროზაც ღირსეულად ითარგმნება.

**— ირანთან ურთიერთობებზე ვისაუბრეთ, მაგრამ ორიოდ სიტყვა მინდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზეც გკითხოთ. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ლიტერატურა თავისი ფართო მნიშვნელობით გონების ნაჭირნახულევი ხვავია, სადაც წმინდა მარცვალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცაო. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ბალახ-ბულახის თესლი ხომ არ სჭარბობს წმინდა მარცვალს?**

— რა არის იცით, ყველანი ძალიან განვიცდით, რომ კრიტიკა საერთოდ აღარ არსებობს. ჟურნალი „კრიტიკა“ აღარ გამოდის, რამაც თავი უნდა მოუყაროს იმ პროცესებს, თუ რა ხდება და რა — არა ლიტერატურის სფეროში. მე არ ვარ კრიტიკოსი. ქართული მწერლობის შემფასებელი არსად ჩანს. ვიწრო წრეში, მგონი, გამოდის რაღაც ჟურნალი, მაგრამ ძალიან პატარა ტირაჟით და ეს მკითხველამდე ვერ აღწევს. კრიტიკის არარსებობის გამო, ნიჭიერი, საშუალო ნიჭის თუ უნიჭო, ერთმანეთში ირევა. მკითხველი დაბნეულია. არ ვიცი რა ხდება, სრული გაუგებრობაა. დღევანდელობა პირდაპირ ითხოვს გამოიცეს ჟურნალი „კრიტიკა“, რომელიც პროცესებს რეალურად დაგვანახებს. პროფესიონალი კრიტიკოსები არ გვაკლია, ოღონდ, ამას თავის მობმა, ფინანსები სჭირდება. სახელმწიფოს მხრიდან თუ სხვა გზით უნდა გამოინახოს თანხები და მწერლობას მეტი ყურადღება მიექცეს. დღევანდელი მწერლობა ისეთ დღეშია, რომ სახელმწიფოსგან ყურადღებას აუცილებლად საჭიროებს. მწერალი ხალხს ემსახურება და ელემენტარული პირობები უნდა ჰქონდეს, თორემ, ნიჭი, ქართველ ხალხს, არ გვაკლია, მაგრამ ყველაფერი ერთმანეთშია არეული.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# „ანაკლია-პორტი“ საქართველოსთვის ბერმუდის სამკუთხედად არ უნდა იქცეს

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, ახსენა თუ არა ეკონომკის სამინისტრომ „ანაკლია პორტის“ მშენებლობაზე ახალი ტენდერის გამოცხადების შესახებ, მყისვე აიშალა სასტვენიანი და მეგაფონიანი პოლიტჭილყვავი!

„ტევეპირველმაც“, უმალ უხმო „ანაკლია პორტის“ ათასწლეულის პროექტის პატივამყრელს და ჩამძირველ თაღლით ბანკირ ხაზარაძეს, რომელმაც, „ანაკლია პორტის“ პროექტის, ე.წ. ტენდერის საუძველზე, საჩუქრად მიღების დღიდან (05.02.2016), 2020 წლის თებერვლამდე, ვერავინ აცდუნა პორტის მშენებლობა დაეფინანსებინა, „ტევეპირველის“ კამერის წინ უტიფრად აცხადებს: **„არანაირი ტენდერი არ არის საჭირო, „ანაკლია პორტს“ დამფინანსებელი სპონსორებიც ჰყავს, და დაფინანსება დიდი ხნის დაწყებულიაო!“**

„ტევეპირველმა“, ხაზარაძის ნათქვამს, ყოვლისმცოდნე „ჭიაბერ-მოკლეც“ მიაშველა. ამ უკანასკნელმაც უშურველად აფრქვია სიყალბე და უაზრობა „ანაკლია პორტის“ გარშემო. ბუნებრივია, ახალი ტენდერის გამოცხადების მიზეზად ჩინურ-რუსული კაპიტალის და მისი ჭკუით, რუსეთის ინტერესები ამხილა!

სანამ მკითხველს, კიდევ ერთხელ ავუხელდე თვალს, რა ხდება სინამდვილეში „ანაკლია პორტის“ გარშემო, ქართულ ტელესივრცეში პოპულარულ „ტევეპირველს“ მინდა ვკითხო: **„ანაკლია პორტის“ ახალ ტენდერზე, გადაცემის მომზადებას თუ აპირებდით, რატომ არ გაგახსენდათ „ანაკლია პორტის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფი?“**

შარშან, სანამ ბოლომდე გაცხადდებოდა, ხაზარაძე და მისი ქართველ-ამერიკელი თაღლითების აფიორა, ერთი თვე დაგყავდით მე და ბატონი ნოდარ წივწივაძე თქვენს სტუდიაში „ანაკლია პორტზე“ გადაცემის მოსამზადებლად, საცდელი ვიდეოჩანაწერიც გააკეთეთ და მეოთხე მისვლაზე განგვიცხადეთ: **„მეორე მხარე ვერ დავითანხმეთ დებატებზე და მარტო ხომ არ გალაპარაკებთო?!“**

ნამდვილი მიზეზი ჩვენთვის ცხადი იყო: **ჩვენ რომ საქვეყნოდ ვამხელდით, ე.წ. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“, რომელიც ტენდერის მოგებამდე, ერთი წლით ადრე, სახელდახელოდ შეიქმნა, ხუთ მილიარდ დოლარად შეფასებული პროექტის მოსაგებად და იმ მიზეზებზეც ტელეეკრანიდან ვისაუბრებდით, რატომ ვერ იშოვა ოთხი წლის მანძილზე, მართლაც უნიკალური პროექტის დამფინანსებელი, ზემოთხსენებული ე.წ. „კონსორციუმის“ ქართველმა და ამერიკელმა თავკაცებმა, ბუნებრივია, ტელევიზიის მესვეურთ არ მოეწონებოდათ.**

მოკლედ, მას შემდეგ, რაც, ქვეყნის ყოფილმა პრემიერმინისტრმა კვირიკაშვილმა და ეკონომიკის მინისტრმა ქუმსიშვილმა „ანაკლია პორტის“ პროექტი, ჩვენდა გასაკვირად, საჩუქრად „ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ ჩააჩუტეს, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ინვესტორების რიგი დაუდგებოდათ!

ტენდერის „გამარჯვებულის“ გამოცხადებიდან ორი კვირის თავზე (20.02.2016) „საერთო გაზეთში“ გამოვაქვეყნე სტატია სათაურით: **„რატომ გამოცხადდა „ანაკლია პორტის“** ტენდერის გამარჯვებულად, კონსორციუმი, რომელიც სატენდერო მოთხოვნის ვერცერთ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს?!“

იმ სტატიაში დეტალურად იყო ახსნილი, თუ რატომ ვერ ასრულებდა ქვეყნის მთავრობის მიერ ლობირებული ე.წ. „კონსორციუმი“ ტენდერის მოთხოვნებს!

მთელი ამ ხნის განმავლობაში არ მახსოვს ვინმეს ხაზარაძის, ან მისი გუნდის წევრებისთვის ეკითხოს:

1. კი მაგრამ, ინვესტორები და პორტის მშენებლობის დაფინანსების გარანტია, ტენდერში მონაწილეობის განაცხადთან ერთად უნდა წარგედგინათ სატენდერო კომისიისთვის და ახლა რატომ დაეძებთო?

2. რა შუაშია ქვეყნის მთავრობა კერძო კომპანიასთან, რომელმაც ტენდერი მოიგო, რატომ უნდა მისცეს მას სახელმწიფომ ფინანსების მოზიდვისა და ტვირთების უზრუნველყოფის გარანტია?

3. ქვეყანაში არსებობს კანონი სახელმწიფო ტენდერის შესახებ, რომლის დაცვა უმკაცრესად კონტროლდება სათანადო უწყების მხრიდან, რატომ აღმოჩნდა ხაზარაძე და მისი კონსორციუმი გამონაკლისი, რატომ არ აჯარიმებს მას ტენდერის პირობების თანახმად 80 მილიონი დოლარით, რომელიც ხაზარაძის ინიციატივით იქნა დადგენილი, ტენდერში გამარჯვებულის მხრიდან ტენდერის პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში?

ამ კითხვებთან ერთად, მკითხველისთვის საინტერესო იქნება გაერკვეს: **რატომ ვერ შეიძლო მამუკა ხაზარაძემ და მისმა ამერიკელმა პარტნიორმა კურტ კონტიმ ფულიანი ინვესტორის პოვნა?**

2013 წლის თებერვალში გამოვთქვი ეჭვი, ანაკლიაში აშშ-ს სამხედრო ბაზის მშენებლობის შესახებ, რაც ჩემი მოგონილი არ იყო. რამდენჯერმე ვახსენე შემდგომში ეს შემთხვევა და აქ არ მივიჩნევ საჭიროდ მის გამეორებას.

ერთს ვიტყვი მხოლოდ: სამწუხაროდ, ჩემი ეჭვი გამართლდა, მას შემდეგ, რაც, გასული წელს, აშშ-ს მაღალი ჩინის ოფიცრებმა და ბოლოს კი სახელმწიფო მდივანმა პომპეომ არაერთხელ განაცხადეს, რომ: **„ანაკლია პორტი“ მათთვის საინტერესოა სამხედრო დანიშნულებისთვის!**

დაიჯერებთ, რომ გითხრათ, მარტო მე ვიცოდი ანაკლიაში მშენებარე პორტის საიდუმლო დანიშნულების შესახებ? **რომელი ჭკუათმყოფელი ინვესტორი ჩადებს ფულს, სამხედრო ბაზის მშენებლობაში, ვისიც არ უნდა იყოს იგი?**

ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ მოიზიდეს ფულიანი ინვესტორი ხაზარაძემ და მისმა კონსორციუმმა. სხვა საკითხია მათი კომპეტენცია პორტის მშენებლობაში!

„ანაკლია პორტის“ გასაიდუმლოებული დანიშნულების შესახებ, უეჭველია, კვირიკაშვილმა, ქუმსიშვილმა და ხაზარაძემ კარგად იცოდნენ. აქ ისმის კითხვა: **რატომ წავიდა ეს ტრიო სახელმწიფო დონის ავანტიურაზე?**

ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, — პასუხი ამ კითხვაზე ჟურნალისტური გამოძიების კომპეტენციას სცილდება, იგი სხვა უწყებამ უნდა შეისწავლოს!

დავუბრუნდეთ კანონს, „ტენდერის შესახებ“, მე მის განხილვას



არ ვაპირებ, ერთს ვიტყვი მხოლოდ: **რის საფუძველზე აცხადებს ხაზარაძე პრეტენზიას, ანაკლიაში უკან მობრუნებაზე?**

არც მისი ანაკლიიდან გაძევება გაგვხარებია ანაკლიელებს, ვინ უნდა მოუაროს, ზღვის ფსკერიდან საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი, რვა მეტრის სიმაღლეზე, 100 ჰექტარზე დაზვინულ სიბინძურეს?

ახალი ტენდერის გამოცხადებამდე, სპეციალურმა კომისიამ და ქვეყნის მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი.

ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაო აქვს ჩატარებული **„ანაკლია პორტის მონიტორინგის ჯგუფს“**.

უეჭველია, ხაზარაძის კონსორციუმის მიერ შერჩეული პორტის ასაშენებელი ადგილი „სამხედრო საზღვაო ბაზისთვის“ იყო გათვალისწინებული და იგი სპეციალურად იყო დამიზნებული მჭიდროდდასახლებულ ტერიტორიას, რომ მისი ამუშავების შემთხვევაში, მოსახლეობა იძულებული გამხდარიყო საკუთარი ნებით გაცლოდა იქაურობას!

საქართველოს მთავრობამ უნდა გაიხსენოს, რომ 2013 წელს იაპონურ კომპანიას 5 მილიონი დოლარი რომ გადაუხადა ზღვის ნაპირის შესწავლისა და „ანაკლია პორტისთვის“ შესაბამისი ადგილის შერჩევისთვის. იგი ხაზარაძის კონსორციუმის მიერ შერჩეული (ზუსტად იმეორებს ლაზიკა პორტს) ადგილიდან 2 კილომეტრის დაშორებით იყო მონიშნული, სამხრეთით, ფოთის მიმართულებით!

თუ მართლა სამრეწველო-სავაჭრო პორტის აშენებაა დაგეგმილი, მაშინ ყველა მონაწილის მიერ შემოთავაზებული, თუნდაც წინასაპროექტო მოსაზრების გასაჯაროება უნდა მოხდეს, რომ ხელმეორედ, სამარცხვინო მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს ქვეყანა, კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის ბლეფმა რომ ავტორიტეტი შეურყია!

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, ზემოთხსენებულთა მიერ სახელგატეხილი **„ანაკლია პორტისკენ“** ურთულესი შემოსაბრუნებელია ის კომპანიები, რომლებიც მზად იყვნენ კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** დროშის ქვეშ, ბატონი თეიმურაზ ქარჩავას ხელმძღვანელობით გაერთიანებულიყვნენ.

მათ შორის საგანგებოდ გამოვყოფდი, ჩინურ სახელმწიფო გიგანტ კორპორაციას — **„ფაუერ ჩაინას“**.

თუ რა მნიშვნელობა აქვს მის ყოფნას **„ანაკლია პორტი“**-ს პროექტში, გავეცნოთ 2014 წელს ლიხტენშტეინის დედაქალაქ ვადუცში **„ანაკლია პორტი“**-ს მშენებლობის პერსპექტივებზე საუბრისას, საბანკო ექსპერტთა მიერ გაკეთებულ დასკვნას, რომელიც კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** პროექტის განხილვას მოჰყვა: **„ბატონებო, ათი წლის წინ, ევროპაში, ვინმეს რომ შავ ზღვაზე, ანაკლიაში (საქართველო) მეგაპორტის აშენების საკითხი გამოეტანა სადისკუსიოდ, მას სიბრალულით შევხედავდით. უნდა მოგახსენოთ, მსგავსი პროექტების მომზადებას წლები სჭირდება. ყველასათვის ცნობილია, რომ დიდი პროექტის განხორციელება კი არ არის პრობლემა, არც მისი დაფინანსების წყაროების მოპოვებაა რთული საქმე!**

**რთული და ძნელად მისაღწევი, პროექტის დასრულების შემდგომ მისი მუშაობაა. ამ შემთხვევაში, უნიკალური ფინანსური და ლოგისტიკური მოდელია ერთმანეთთან მორგებული, სადაც ინვესტორი, დამთავრებული პროექტის მომხმარებელი და ხანგრძლივი ფუნქციონირების გარანტი ხდება, — ეს გახლავთ ჩინეთის სახელმწიფო!**

**არ დაგვავიწყდეს, რომ, ევროპაში გაყიდული პროდუქციის ნახევარზე მეტი ჩინეთშია წარმოებული და მისი მომხმარებლამდე სწრაფად მიტანა, უზარმაზარი მოგების გარანტიაა. ამ მხრივ, „ანაკლია პორტი“ და „ახალი აბრეშუმის გზა“ უნიკალური შეთავაზებაა, როგორც ჩინელი მეწარმეებისთვის, ასევე ევროპელი მომხმარებლისთვის!**




დავით ქობალია
598 70 86 00

# ალი ბაბაევი: საქართველო ჩემი სამშობლოა

*გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი*

**— ბატონო ალი, რადგენადაც ვიცი, კარგა ხანია არსებობს ორგანიზაცია ქართულ-აზერბაიჯანული კონგრესი. მინდა მომითხროთ, რა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეთ, რამაც ხელი შეუწყო ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ?**

— 1999 წელს სათავეში ჩავუდექი ორგანიზაციას, რომელსაც დავარქვი „საქართველო ჩემი სამშობლოა“. იქედან მოყოლებული უკვე 31 წელიწადია მე პოლიტიკაში ვმოღვაწეობ.

აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან ინტეგრაციის პრობლემები ყოველთვის იყო. სააკაშვილის პრეზიდენტობისას ეს საკითხი უფრო გამწვავდა. ამიტომაც 2007 წელს ნოემბრის მიტინგებზე აქტიურად გამოვდიოდი. ხმამაღლა ვლაპარაკობდი პრობლემებზე და რომ იტყვიან, გავხდი მომიტინგე პოლიტიკოსი. 2012 წლის ოქტომბრამდე ვებრძოდი რეჟიმს. ვებრძოდი ხელისუფლებას, რომელმაც ადამიანებს წაართვა მომავლის იმედი, გააკოტრა და დაატერორა ბიზნესი, ციხეებში აწამებდნენ პატიმრებს, მძვინვარებდა უსამართლობა.

ამ დაპირისპირების ნიადაგზე მე და ჩემმა ოჯახმა უდიდესი ტერორიც განვიცადეთ ხელისუფლების მხრიდან. ჩემი ოჯახის წევრი უსამართლოდ დასაჯეს, ხოლო ორგანიზაცია, რომელმაც მერე საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის სახელი დაირქვა, გაძარცვეს, ჩამოგვართვეს ქონება, ორგანიზაციის ბეჭედი და გადასცეს მაშინდელი გუბერნატორის მოადგილეს დავით კირკიტაძეს და მის მარჯვენა ხელს სოინ უსუფოვს. ეს უკანასკნელი დღემდე ჩემთვის წართმეულ მაგიდასთან ზის და ჩემი ორგანიზაციის ბეჭდით სარგებლობს.

დღეს რომ მაღალ ხმაზე ლაპარაკობს გიორგი ვაშაძე, სწორედ ის ბრძანდებოდა მაშინ იუსტიციის მინისტრი და მან შეუწყო ხელი მიტაცებულის გაფორმებას საჯარო რეესტრში. როგორც ქონებას და ბიზნესს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ართმევდნენ მაშინ, სხვათა შორის, ხალხს.

სოინ უსუფოვი „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი იყო იმ ხანებში და უმძიმეს ტერორში ამყოფებდა აზერბაიჯანელ მოსახლეობას, რის გამოც მას სააკაშვილმა ჯერ ღირსების ორდენი მისცა, მერე მამამისსაც და ცოტა ხნის მერე სოინ უსუფოვი, რომელიც ომში არასდროს ყოფილა, გორგასლის სახელობის ორდენით დააჯილდოვა. ჯილდოებს იღებდა კაცი, რომელიც თავის ხალხს ატერორებდა. სწორედ ასეთ ხალხზე იდგა მაშინ გუნდი, მათი ნაწილი დღეს „ქართულ ოცნებას“ მიეკედლა. უსუფოვი და მისნაირები ვაჟა ლილუაშვილის გარშემო იყვნენ შემოკრებილი და ათასგვარ სისასტიკეს ჩადიოდნენ აზერაიჯანელ მოსახლეობაში.

წარსულზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ, ყველამ კარგად იცის, რა მძიმე წლები გავიარეთ და როგორ მიეცა მერე, უკვე, 2012 წელს ადამიანებს იმედი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით ქართულ პოლიტიკაში.

იმ ხანებში მე ბატონი ბიძინას მიერ ორგანიზებული 21-კაციანი სათათბიროს წევრი გავხდი და როგორც მაშინ ამბობდნენ, ეს 21 ადამიანი საარჩევნო სიის დასაწყისში უნდა ყოფილიყო. არ ვიცით, როგორ და რანაირად, პარლამენტში „ქართული ოცნების“ სიით ისეთი ადამიანები მოხვდნენ, რომლებსაც „ქართულ ოცნებასთან“ არავითარი კავშირი არ ჰქონია არასდროს.

არავინ იფიქროს, თითქოს ჩემი მიზანი მხოლოდ პარლამენტში მოხვედრა ყოფილიყო. არა. ჩემი მიზანია, საქართველოში მცხოვრები ჩემი ეროვნების ხალხის — აზერბაიჯანელების ღირსეული ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. პრიორიტეტია ქართული ენის შესწავლა. ყველა აზერბაიჯანელმა საქართველოში უნდა იცოდეს ქართული ენა. ჩემი მიზანია აზერბაიჯანული მოსახლეობის იურიდიული დახმარება და დაცვა. დაცული იყოს საქართველოში მათი ტრადიციები, რელიგია, კულტურა, სიცოცხლის და ნორმალური ცხოვრების უფლება, რა თქმა უნდა, საქართველოს პატივისცემის პარალელურად.

**— არჩევნები გვიახლოვდება და აზერბაიჯანული მოსახლეობის გათვითცნობიერებულობა და აქტივობა ამ პროცესებში, როგორც საქართველოს მოსახლეობის ნაწილის — ძალიან მნიშვნელოვანია.**

— ვაპირებ ძალიან აქტიურად ჩავერთო წინასაარჩევნო პროცესებში. მე პასუხისმგებლობაც მაქვს. ვარ ე.წ 12-იანელი (2012-იანელი — ი.კ.), ჩვენ ვართ „ნამდვილები“, ხალხი, რომლებიც, მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, ვადგავართ ბატონი ბიძინას მიერ არჩეულ გზას, მისი პოლიტიკის მიმართულებით. მე დღემდე ვარ „ქართული ოცნებს“ რიგითი ჯარისკაცი და თანამოაზრეებთან ერთად ვაპირებთ, რომ ამჯერად ვეღარ შევიდნენ საქართველოს პარლამენტში ნაციონალებისგან პორტირებულები, ასევე, ისეთი აზერბაიჯანელები, რომლებმაც ქართული ენა საერთოდ არც იციან და არც ჩვენს თავგანწირულ ბრძოლაში 2012 წელს არავითარი წვლილი არ შეუტანიათ. არც 2012 და არც მერე, საპრეზიდენტო არჩევნებისას, მაშინ, როცა ივანიშვილმა მოგვიწოდა სტაბილურობისკენ და არანაციონალი კანდიდატის მხარდაჭერისკენ. არჩევნებში სწორედ მაშინ, ყოველგვარი ფინანსური თანადგომის გარეშე თანაგუნდელებთან ერთად შევქმენი საარჩევნო შტაბი და დავამარცხეთ კიდევაც ნაცების მხარდაჭერილი კანდიდატი მეორე ტურში.



**— როგორც მივხვდი, კენჭისყრას აპირებთ მომავალ პარლამენტში მოსახვედრად.**

— დიახ. ვაპირებ ვიბრძოლო, რომ მოვხვდე პარლამენტში და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან გავაკეთო ყველაფერი ის სიკეთე, რაც არ გაუკეთებია არც ერთ აზერბაიჯანელ დეპუტატს. მე მხარს მიჭერს ხალხი და მე ვარ მათ მხარეს.

როგორც ხედავთ, პირველი ხმამაღალი განაცხადი ჩემი სურვილის და მიზნის შესახებ თქვენი გაზეთის საშუალებით გავაკეთე და ეს არის დასაწყისი. წინ შეხვედრები, საუბრები, საარჩევნო ბრძოლები იქნება. ვეცდები დავარწმუნო მოსახლეობა იმაში, რომ ჩვენ ერთად შევძლებთ პრობლემების დაძლევას. დღეს ვიღაც ადამიანები უსინდისოდ გამოდიან ტელევიზიებში და ბატონი ბიძინას ლანძღვით იქაფებენ პირს. სინდისი და ნამუსი აქვთ დაკარგული და როცა ბიძინა ივანიშვილი ქველმოქმედებით და აღმშენებლობით ფიქრობს საქართველოს გაძლიერებას, ესენი ქვეყნის გაღლეტაზე, დესტაბილიზაციაზე, საქართველოს იმიჯის საერთაშორისო საზოგადოების წინაშე შელახვაზე ოცნებობენ.



აზერბაიჯანელმა და ქართველმა მოსახლეობამაც მშვენივრად იციან, რომ მე ყოველთვის მათ გვერდით ვარ და ვიყავი. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებმაც რამდენიმე პარტია გამოიცვალეს, რათა თანამდებობები და გავლენები შეენარჩუნებინათ. „ქართული ოცნების“ ზოგიერთ დეპუტატს, როცა პარტიას პრობლემები შეექმნა, ცალი ფეხი პარტიაში ჰქონდათ, ცალი „ნაცმოძრაობაში“, მათთან ჰქონდათ მოლაპარაკებები და არწმუნებდნენ ყოფილ ჯალათებს — ხომ იცით, ყოფილი ნაციონალი ვარ, თქვენი თანამებრძოლი, თუ რამე მოხდა, თქვენს მხარეს დავდგებითო. ასეთი ორპირი ადამიანები ქართულ პოლიტიკას არ სჭირდება.

თუმცა ისე არავინ გამიგოს, თითქოს პარლამენტში ყველა უვარგისი იყოს. დღევანდელ პარლამენტში არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებითაც დღემდე ვამაყობ და მიხარია მათი გამოსვლის მოსმენა პარლამენტის ტრიბუნიდან.

**— დეპუტატობას აპირებთ და არ შემიძლია არ გკითხოთ: როგორია თქვენი დამოკიდებულება დავით გარეჯთან დაკავშირებით, მიიჩნევთ, რომ კომპლექსი აზერბაიჯანს ეკუთვნის?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით მე რამდენიმე პრესკონფერენციაც გავმართე და ტელევიზიითაც ვისაუბრე ამაზე. გარეჯშიც ვიყავი ორჯერ, ჩემი თვალით მაქვს ნანახი ყველაფერი.

ის ადამიანები, რომლებიც დღეს ქართველ საზოგადოებას ატყუებენ და ამბობენ: დავით გარეჯს აზერბაიჯანელები გვართმევენო, ეს არის ტყუილი. დავით გარეჯი არის საქართველოს ტერიტორიაზე და იმ სადაო საკითხს, რომელზეც ამ ორ ქვეყანას შორის საუბარი მიმდინარეობს, დავით გარეჯთან არავითარი კავშირი არ აქვს.

მოსახლეობა ნერვიულობს, მაგრამ ყოველივე ეს არის პროვოცირებული ქვეყნის გარედან დავალებების მიმღებთაგან, აგრძელებენ ჭორებს, რომ ჩვენს შორის გაჩნდეს უნდობლობა, კონფრონტაცია და მტრობა. ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: საქართველოს და აზერბაიჯანს შორის დაპირისპირებას ვერ ეღირსებიან, ეს არ მოხდება!

პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თქვა კიდევაც: საქართველოს და აზერბაიჯანს შორის მოუგვარებელი საკითხი არ არსებობსო.

**— 9 თებერვალს აზერბაიჯანში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. თქვენ აზერბაიჯანში, როგორც სიტუაციის მოთვალთვალე დამკვირვებელი, როგორ შეფასებას მისცემთ ამ არჩევნებს?**

— როგორც დავინახეთ, არჩევნებმა აზერბაიჯანში მშვიდ ვითარებაში ჩაიარა.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატებიც იყვნენ აზერბაიჯანში არჩევნების პროცესის მონიტორინგისთვის, იყვნენ საქართველოს ცსკო-ს წარმომადგენლებიც, ჟურნალისტთა ჯგუფებიც და ცუდი ამინდის მიუხედავად, ყველამ ვნახეთ, რომ აქტივობა იყო, მოსახლეობის 46% არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

**— ბატონო ალი, მედასავლეთეები, რუსეთუმეები და ლიბერალები საქართველოსნაირად ამტვრევენ კარებს აზერბაიჯანშიც?**

— ასეთები, როგორც ვიცი, მრავლად არიან, მიტინგებსაც მართავენ და ათასნაირი პროტესტის ფორმას მიმართავენ, მაგრამ მათ მოსახლეობაში მხარდაჭერა არ აქვთ.

აზერბაიჯანში არჩევნების დღეებში უამრავი საერთაშორისო დამკვირვებელი ჩამოვიდა. იაპონელები, ინგლისელები, ებრაელები, კორეელები, ინდონეზიიდან, მექსიკიდან, ბულგარეთიდან, მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან. ამდენი დამკვირვებელი აზერბაიჯანში არჩევნებში არასდროს ყოფილა. აზერბაიჯანს აქვს მჭიდრო საერთაშორისო კონტაქტები.

რაც შეეხება არჩევნების დემოკრატიულობას, იყო არჩევნების მიმდინარეობისას პატარ-პატარა ექსცესები, მაგრამ არეულობას ვერ მიაღწიეს. დესტაბილიზაცია არ მოხდა. არჩევნები ყველამ დადებითად შეაფასა. ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე კი კიდევ ერთხელ ვიტყვი: განგების ძალით ეს ორი ქვეყანა გვერდიგვერდ ვარსებობთ. ჩვენს შორის უთანხმოება არ არსებულა და არც იარსებებს. ჩვენი ბედი გადაჯაჭვულია.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერთა მკვლელობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სგ“ N1-3)

### ჩეჩნეთის რესპუბლიკა – იჩქერიის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი

ასლან მასხადოვი დაიბადა 1951 წელს ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქში, სადაც მისი ოჯახი 1944 წელს გადაასახლეს. 1957 წელს (სხვა მონაცემებით 1959 წელს) ჩეჩენი და ინგუში ხალხის რეაბილიტაციის შემდეგ ოჯახთან ერთად დაბრუნდა ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1968 წელს დაამთავრა სკოლა, მომდევნო წელს თბილისის არტილერიის უმაღლეს სამეთაურო სასწავლებელში ჩააბარა, რომელიც 1972 წელს დაამთავრა. 1972–78 წწ შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში მსახურობდა. 1978 წელს, ლენინგრადის არტილერიის სამხედრო აკადემიაში ჩააბარა, ხოლო 1981 წელს, წარმატებით დაამთავრა. რუსეთის შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში პოლკოვნიკის წოდებით, 1992 წლის დეკემბერში გავიდა, იმ დროს, როცა ჩეჩნეთისა და ინგუშეთის საზღვარზე ვითარება გამწვავდა. მასხადოვი გროზნოში ჩავიდა, სადაც ჯოხარ დუდაევის ბრძანებულებით, ჩეჩნეთის სამოქალაქო თავდაცვის უფროსად დაინიშნა. მოკლე ხანში კი, იჩქერიის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსის პირველი მოადგილე გახდა.



ჩეჩნეთის პირველი ომის დროს, ჩეჩნეთის შეიარაღებული ფორმირებების მსხვილი საბრძოლო და დივერსიული ოპერაციების უმეტესობას, ასლან მასხადოვი გეგმავდა და ხელმძღვანელობდა. 1994–95 წწ დეკემბერ-იანვარში გროზნოში პრეზიდენტის სასახლის დაცვის უფროსი იყო, მისი გეგმით შეიტყუეს ჩეჩნებმა რუსული ტანკები დედაქალაქის ცენტრში და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს. დაზიანებულმა ტექნიკამ სხვა ტანკებს შემოვლითი გზა ჩაუხერგა, რის შემდეგაც ისინი შენობების ზემო სართულებიდან ჩაცხრილეს ჩეჩენმა მებრძოლებმა, რადგან მათ ვერ მოახერხეს მანევრირება ვიწრო ქუჩებში. ზოგიერთი ცნობით, ასლან მასხადოვმა მას შემდეგ დატოვა გროზნო, რაც რუსეთის ავიაციამ ნანგრევებად აქცია. 1995 წელს თვითგამოცხადებული იჩქერიის პრეზიდენტმა დუდაევმა მასხადოვს დივიზიის გენერლის წოდება მიანიჭა. 1995 წლის მაისში, როცა რუსეთის ჯარებმა საომარ მოქმედებებზე მორატორიუმი გამოაცხადეს, მასხადოვმა თავისი ძალების გადაჯგუფება-რეორგანიზაცია მოახდინა ფრონტებსა და მიმართულებებზე. 1995 წლის აგვისტო-ოქტომბერში, ის ხელმძღვანელობდა ჩეჩნეთის დელეგაციას ფედერალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში. მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად, მასხადოვი სპეციალური სამეთვალყურეო კომისიის თანათავმჯდომარედ დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით იქნა შემუშავებული და განხორციელებული თავდასხმა გროზნოზე, არღუნსა და გუდერმესზე 1996 წლის 6 აგვისტოს (ოპერაცია „ჯიჰადი“). მასხადოვის განცხადებით, ეს ოპერაცია იმიტომ წამოიწყეს, რომ მთელი მსოფლიოსთვის, პირველ რიგში კი რუსეთისთვის ეჩვენებინათ იჩქერიის შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალი.

1995 წლის მარტში, რუსეთის ფედერაციის პროკურატურამ ასლან მასხადოვის მიმართ რამდენიმე ბრალდებით აღძრა სს-ის საქმე, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნაში მონაწილეობა, სამსახურებრივი მდგომარეობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, სამშობლოს ღალატი, ბანდიტიზმი, რაც სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებდა და მასზე ძებნა გამოაცხადა. არადა მასხადოვი 1995–96 წლებში არაერთხელ წარმოადგენდა ჩეჩნურ მხარეს კრემლთან მოლაპარაკებებში, ხოლო 1996 წლის აგვისტოს, ალექსანდრე ლებედთან ერთად მოაწერა ხელი ჰასავ-იურტის შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ჩეჩნეთის სტატუსის გადახედვა 2001 წლის 31 დეკემბრამდე გადაიდო. თვითგამოცხადებული იჩქერიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ზელიმხან იანდარბიევის გადაწყვეტილებით, მასხადოვი 1996 წლის ოქტომბრიდან ერთდროულად გახდა პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი, ამავე დროს შეინარჩუნა მთავარი შტაბის უფროსის თანამდებობა. 1996 წლის 23 ნოემბერს რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელ ვიქტორ ჩერნომირდინთან ერთად ხელი მოაწერა ფედერალურ ცენტრსა და იჩქერიას შორის ურთიერთობის ხელშეკრულებას. 1997 წლის იანვრის ბოლოს, მასხადოვი ხმათა 59,3%-ით ჩეჩნეთის პრეზიდენტად აირჩიეს, მისი მთავარი კონკურენტები შამილ ბასაევი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ზელიმხან იანდარბიევი და პროპაგანდის მინისტრი მოვლადი უდუგოვი იყვნენ. მასხადოვმა მაისის თვეში, რუსეთის პრეზიდენტ ელცინთან ერთად მოაწერა ხელი რუსეთის ფედერაციასა და იჩქერიას შორის მშვიდობასა და ნორმალური ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულებას. ამ დროს, ექვსი თვეც არ იყო გასული, რომ ასლან-პრეზიდენტმა ავად სახსენებელი საველე მეთაური შამილ ბასაევი, იჩქერიის პრემიერ-მინისტრად დანიშნა. კავკასიათმცოდნე, ისტორიკოს ჯაბრაილ გაკაევი მიიჩნევდა, რომ მასხადოვმა ვერ შეძლო ჩეჩნური საზოგადოების კონსოლიდირება, მხარს უჭერდა შეიარაღებულ უმცირესობებს, ის პოლტიკური ძალები, რომლებიც კრემლთან და საერთოდ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის მომხრე იყო მოიშორა. მასხადოვის მმართველობის დროს, სწრაფად მოახდინეს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დეგრადირებაო. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მასხადოვი 1997 წლის ნოემბერში აშშ-ში ჩავიდა, შეხვდა რამდენიმე კონგრესმენსა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ სტივენ სესტანოვიჩს, რომელიც დსთ-ის ქვეყნების კოორდინატორი გახლდათ. 1998 წლის მარტში მასხადოვი ლონდონსაც ესტუმრა, შეხვდა ლორდ ალისტერ მაკლაპინსა და ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეტჩერს. 1998 წლის აგვისტოში მასხადოვი მეორედ ჩავიდა ამერიკაში და სიტყვით გამოვიდა ვაშინგტონში გამართულ ისლამური ერთობის საერთაშორისო კონფერენციაზე. ჩეჩნეთის დელეგაციამ წინადადება წამოაყენა, რომ მათ ქვეყანაში 30 მილიარდი დოლარი ჩაედოთ.



1998 წლის შუა პერიოდში ჩეჩნეთში დაახლოებით სამას საბრძოლო დაჯგუფებას ითვლიდნენ, რომელიც არ ექვემდებარებოდა იჩქერიის შეიარაღებულ ძალებს, ყველაზე მსხვილი დაჯგუფებები იყო „გენერალ დუდაევის არმია“, რომელსაც დუდაევის სიძე სალმან რადუევი ხელმძღვანელობდა, შამილ ბასაევისა და არაბი საველე მეთაურის ხატაბის რაზმები. რადუევის დაჯგუფებაში სამი ათასამდე მებრძოლი და 16 ერთეული ჯავშანტექნიკა იყო, იგივე რიცხოვნება ჰქონდა ბასაევის რაზმს, რაც შეეხება ხატაბის, მისი „ლაშქარი“ უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდა, სულ ხუთასამდე მებრძოლს ითვლიდა. ასლან მასხადოვს, ანუ ხელისუფლებას მათ წინააღმდეგ მხოლოდ 7.000 მებრძოლისა და 60 ერთეული ჯავშანტექნიკის გამოყვანა შეეძლო. საქმე იმაშია, რომ იმ პერიოდში მასხადოვსა და რადიკალურ ოპოზიციურ დაჯგუფებებს შორის, პოლიტიკური კონფლიქტი წარმოიშვა. 1998 წლის სექტემბერში რადუევმა, ბასაევმა და ისრაფილოვმა მასხადოვი მოსკოვთან გარიგებაში დაადანაშაულეს და მისი გადადგომა მოითხოვეს. საპასუხოდ მასხადოვმა ბასაევის მთავრობა გადააყენა. საველე მეთაურებთან კონფლიქტის შემდეგ, მასხადოვმა კონტროლი დაკარგა დიდ ტერიტორიებზე, სამაგიეროდ ამ უკანონო დაჯგუფებებმა შეინარჩუნეს ყველა რაიონში შტაბი, „ჯამაათი“, სამხედრო ბაზები, ციხეები. ისინი ჩეჩნეთის ომს დასრულებულად არ თვლიდნენ და მზად იყვნენ ნებისმიერ დროს სამხედრო მოქმედებების განსაახლებლად და ტერაქტების მოსაწყობად. მსხვილი მონებით მოვაჭრეები და ბანდიტები იჩქერიის რესპუბლიკის ჩინოვნიკები გახდნენ, ბაუდი ბაკუევი — ე.წ. შს მინისტრის მოადგილე, ვახა არსანოვი ვიცე-პრეზიდენტი და ა.შ. წერს რუსული პრესა.

1999 წლის იანვრის დასაწყისში პრეზიდენტი მასხადოვი ჩეჩნეთში ისლამური სახელმწიფოს შექმნის იდეით გამოვიდა. ურუსმარტანის რაიონი ოპოზიციის ბაზად იქცა, რომელიც საკუთარი კანონებით ცხოვრობდა, იორდანიელმა ხატაბიმ იქ დივერსიული ბაზა გახსნა. 1999 წლის თებერვალში მასხადოვმა ხელი მოაწერა ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე შარიათის კანონმდებლობის შემოღების შესახებ გადაწყვეტილებას. პარლამენტს ჩამოერთვა საკანონმდებლო უფლებები, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გახდა ისლამური საბჭო შურა. „შარიათული კონსტიტუციის“ შესაქმნელად ჩამოაყალიბეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ახმედ







ზაკაევი ხელმძღვანელობდა. აქეთ ბასაევმა გამოაცხადა „ოპოზიციური შურას“ შექმნა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა, რის შემდეგაც მასხადოვი დამოუკიდებელი ჩეჩნეთის წინააღმდეგ რეპრესიებში დაადანაშაულა, მასხადოვმა ხალხი გაერთიანების მაგივრად, რელიგიური პრინციპებით დაყოო. 1999 წლის ზაფხულში მასხადოვის მომხრეებსა და რადიკალურ ოპოზიციას შორის დაპირისპირება უკიდურესად გამწვავდა. 4 ივნისს, მასხადოვმა ჩეჩნეთის ტელევიზიით მიმართა ოპოზიციას და მხარდაჭერისკენ მოუწოდა, დამეხმარეთ ჩეჩნეთი გავათავისუფლოთ ისეთი სამარცხვინო მოვლენისგან, როგორიცაა ადამიანების გატაცება და რომელსაც მასობრივი ხასი-



ათი აქვს მიღებული. 11 ივნისს, მასხადოვი რუსეთის პრემიერ-მინისტრ სერგეი სტეპაშინს შეხვდა, საკითხი ჩეჩნეთში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას შეეხებოდა. მეორე დღეს, ოპოზიციის ორასკაციანი შეიარაღებული რაზმი შეეცადა შტურმით აეღო გროზნოში მდებარე ჩეჩნეთის ეროვნული უშიშროების სამსახურის შენობა იმ მოტივით, რომ თავიანთი ხალხის გათავისუფლება უნდოდათ. სამსაათიანი სროლების დროს, სპეცსამსახურის ექვსი თანამშრომელი დაიჭრა, ხოლო ათზე მეტი თავდამსხმელი მოკლეს.

1999 წლის ივლისში, ფედერალურმა ძალებმა ვერტმფრენებიდან, არტილერიითა და ნაღმტყორცნებით გამაფრთხილებელი დარტყმა მიაყენა ყიზლარის რაიონში (დაღესტანი) არსებულ მებრძოლთა 150–200-კაციან ე.წ. ბანაკს. ამ პერიოდში სცადა ასლან მასხადოვმა ოპოზიციასთან კონსოლიდაცია, 12 ივლისს გროზნოში ჩატარდა ეროვნული უშიშროების სამსახურის სხდომა მასხადოვის, ბასაევის, უდუგოვის, გელაევის და სხვა საველე მეთაურების მონაწილეობით, სადაც გადაწყდა, რომ ხსენებული სამსახური იქნებოდა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და მას თავად მასხადოვი უხელმძღვანელებდა. 1999 წლის 7 აგვისტოს, ჩეჩნეთიდან მებრძოლები ბასაევისა და არაბი დაქირავებული ხატაბის მეთაურობით, მასობრივად შეიჭრნენ დაღესტანის ტერიტორიაზე. დაჯგუფების ბირთვს, დაქირავებული უცხოელები და საერთაშორისო ისლამური მშვიდობისმყოფლების ბრიგადის მებრძოლები შეადგენდნენ, რომლებიც „ალ ქაიდასთან“ იყვნენ კავშირში.



მასხადოვი მიხვდა რა, რომ ამ უკანასკნელმა მოვლენებმა ჩეჩნეთი ახალი ომის საშიშროებამდე მიიყვანა, ყველანაირად ცდილობდა დისტანცირება მოეხდინა მეტნაკლებად რადიკალი ლიდერებისგან, უდუგოვი იჩქერიის უშიშროების საბჭოს შემადგენლობიდან გაიყვანა, ჩეჩენი საველე მეთაურების დაღესტნის კონფლიქტში მონაწილეობა უარყოფითად შეაფასა, საკუთარი ხალხის ღალატში დაადანასაულა. მან ისიც აღნიშნა, რომ მსოფლიო „მამათა“ ხელში ჩეჩნეთი კოზირად იქცა, რომლებიც ესწრაფოდნენ თვითონ გამხდარიყვნენ კავკასიის ბატონ-პატრონები და განედევნათ იქიდან რუსეთი. მასხადოვმა მეორეს მხრივ, რუსეთის ხელისუფლება დაადანაშაულა პროვოკაციებსა და დაძაბულობის გამძაფრებაში. ამავე დროს იგი საუბრობდა თავის ჩანაფიქრზე, რომ აპირებდა რუსეთისთვის შეეთავაზებინა, რომ ჩეჩნეთი გაეხადათ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი ჩრდილო კავკასიაში.



მასხადოვმა ინგუშეთისა და ჩრდილო ოსეთის ლიდერებს, რუსლან აუშევსა და ალექსანდრე ძასოხოვს სთხოვა დახმარებოდნენ ახალი ომის შეჩერებასა და რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან პირისპირ შეხვედრაში. იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტ ასლან მასხადოვს უნარი არ შესწევდა ჩეჩნეთში ვითარება გაეკონტროლებინა, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა „ბოევიკების“ გასანადგურებლად, საბრძოლო ოპერაცია ჩაეტარებინა. მასხადოვს რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზეც უარი ეთქვა. „არავითარი შეხვედრა არ იქნება იმისთვის, რომ „ბოევიკებს“ ჭრილობების მოშუშების საშუალება მიეცეთ, განაცხადა რუსეთის პრემიერმა პუტინმა. 1999 წლის 30



სექტემბერს რუსეთის საბრძოლო შენაერთებმა ჩეჩნეთის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთეს. მასხადოვი სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ წინააღმდეგობას და იჩქერიის სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობა დაიკავა.

2000 წლის 10 მარტს, მასხადოვზე ხელახლა გამოცხადდა ძებნა რუსეთის ფედერალური ხელისუფლების მხრიდან, 2002 წლიდან კი საერთაშორისო ძებნილად იქცა. 2002 წლამდე მასხადოვის მცირე რაზმი უპირატეს მდგომარეობაში ჩეჩნეთის მთიანეთში. ამავე წელს საველე მეთაურების საერთო შეკრებაზე, ტერორისტებმა მოლაპარაკეს



ერთიან ხელმძღვანელობაზე, ბასაევისა და ხატაბის ოპოზიციურ-ტერორისტული ორგანიზაციის „მაჯილისულ შურას“ დანაყოფები მასხადოვის დაქვემდებარებაში გადავიდნენ. ბოლო წლებში მასხადოვს აღარ ჰქონდა დასაყრდენი მოსახლეობასა და მებრძოლებში, ფორმალურადღა რჩებოდა ჩეჩნეთის არჩეულ ხელისუფლად, რომელთანაც საერთაშორისო საზოგადოების აზრით, კრემლს შეეძლო პოლიტიკური მოლაპარაკებების წარმოება. მასხადოვის ბევრმა თანამებრძოლმა ვერ გაუძლო პარტიზანული ომის სიმძიმეს, შეწყვიტეს ღია წინააღმდეგობა და ხელისუფლებას ჩაბარდნენ. პარალელურად ჩნდებოდა ინფორმაცია იმ უთანხმოების შესახებ,



რაც შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით ჩნდებოდა მასხადოვსა და რადიკალური ფრთის ლიდერებს (ბასაევი, დოკუ უმაროვი) შორის. თითქოს მასხადოვი მხარს არ უჭერდა მძევლების აყვანას და საცხოვრებელი სახლების აფეთქებას, რასაც რუსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მსხვერპლი მოსდევდა. 2002 წლის ოქტომბერში, მასხადოვმა ინტერვიუ მისცა ფრანგულ სააგენტო „ფრანს-პრესს“, სადაც ისაუბრა ჩეჩენი ტერორისტების ნაკლებად ექსტრემისტულ ლიდერებთან მისი კავშირების გააქტიურებაზე. მან საკუთარი პოზიციის რადიკალიზაცია, დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერაზე უარით



ახსნა. „დასავლელი ლიდერები იძულებულნი არიან რუსეთთან ითამაშონ თავიანთი გლობალური პრობლემების გადაჭრის მიზეზით, ისეთის, როგორიცაა ბალკანეთი, ავღანეთი, საქართველო, ახლა ერაყი. ახლა როცა ჩეჩნეთში ომი გრძელდება, მე აღარაფერი მაქვს დასაკარგი იმის გამო, რომ მთავარ რადიკალურ ლიდერებთან ბასაევთან, უდუგოვთან, იანდარბიევთან მაქვს მჭიდრო ურთიერთობა“, ხაზგასმით აღნიშნა მასხადოვმა. მან სეპარატისტების მხრიდან რაღაც „განსაკუთრებული ოპერაციის“ მზადებაც ახსენა, ოღონდ დეტალების გახმაურებაზე უარი თქვა. 2002 წლის 23 ოქტომბერს, ჩეჩენმა ტერორისტებმა მძევლები აიყვანეს მოსკოვში, დუბროვკაზე თეატრალურ ცენტრში. 25 ოქტომბერს აზერბაიჯანული გაზეთისთვის მიცემულ სატელეფონო ინტერვიუში, მძევლების აყვანაში მონაწილე ერთ-ერთმა ტერორისტმა განაცხადა, რომ ასლან მასხადოვი მონაწილეობდა ამ ტერაქტის მომზადებაში. ნოემბრის თვეში მასხადოვმა უარყოფითად შეაფასა დუბროვკის ტერაქტი, ბასაევის მიმართ სს-ის საქმის აღძვრაც გამოაცხადა, დაიმუქრა, რომ ბასაევს თანამდებობიდან გადააყენებდა, თუმცა სერიოზული არაფერი მოუმოქმედია. ბასაევი თვითონვე გადადგა, როგორც კი ნორდ-ოსტში მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღო.

როგორც ირკვევა, თვითგამოცხადებული იჩქერიის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი 2004 წელს ჩრდილო ოსეთის ქალაქ ბესლანში მომხდარ საშინელ ტრაგედიაშიც მონაწილეობდა, როდესაც ტერორისტებმა სკოლის შენობა დაიკავეს და მძევლებად აიყვანეს მოსწავლეები და პედაგოგები. 2006 წელს, როცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად გასაჯაროვდა, მასხადოვი ცოცხალი აღარ იყო, 2005 წელს, რუსეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა იგი სპეცოპერაციის დროს მოკლეს. ჩრდილო ოსეთის უმაღლესმა სასამართლომ განაჩენი გამოაქვეყნა ნურფაშა კულაევის საქმეზე, რომელიც ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილია იმ ჯგუფიდან, ვინც ბესლანის სკოლა აიღო. რუსული მედიის ინფორმაციით, ხსენებული განაჩენში არსებული მტკიცებულებები ადასტურებს მასხადოვის მონაწილეობას ამ საშინელ ტერაქტში.

ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ, უფრო დეტალურად მომდევნო ნომერში visაუბრებთ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# რატომ არ შეიქმნა ეფექტური პრეპარატი კორონავირუსის წინააღმდეგ, რომელიც ახლა კი არა, თურმე, 7 წლის წინათ „დაიბადა“

ჩინეთის ჯანდაცვის ოფიციალური ინფორმაციით კორონავირუსით 10 თებერვლამდე გარდაიცვალა ცხრაასი ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ახალი კორონავირუსის დაზარალებულთა რაოდენობამ გადააჭარბა SARS-ის პანდემიას 2002–2003 წლებში, რომელიც ასევე დაიწყო ჩინეთში, კერძოდ უხანში და შვიდასსამოცდათოთხმეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ჩინელების თითქმის 95% მდე, ცხოვრობს ჩინეთის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ მოსახლეობის ცენტრად ითვლება ხუბეს პროვინცია, რომელშიც შედის ქალაქი უხანი, თერთმეტ მილიონზე მეტი მაცხოვრებლით. უხანი სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო მიმოსვლებით, მიიჩნევა ერთ ერთ მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძად... ახალი ვირუსით დაავა-



დებული პაციენტების რაოდენობამ ორმოციათას ორასს მიაღწია, დაახლოებით ოცდათექვსმეტი ათასი ადამიანი გადის მკურნალობას ქვეყნის საავადმყოფოებში, მათგან შვიდიათასამდე შეფასებულია, როგორც მძიმე, სამიათასი კი გაწერილი იქნა სამკურნალო დაწესებულებიდან. სავარაუდო ინფექციის გამო, ექიმები აკვირდებიან ასოთხმოცდარვა ათას ადამიანს. სამწუხაროდ, კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევები გამოვლენილია კიდევ ოცდაოთხ ქვეყანაში და არავინ იცის რა მიმართულებით წავა და როგორ ქარტეხილს დაატეხავს უმართავი, ბოლომდე ამოუცნობი საშინელი ვირუსი, ამა თუ იმ ქვეყანას. მართალია, ოფიციალური ცნობებით სოლიდური თანხა გამოიყო ვაქცინის გამოგონებისთვის, სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი მეცნიერები მის შესაქმნელად თავდაუზოგავად შრომობენ, მაგრამ სავარაუდო დრო რომელიც ვაქცინის შესაქმნელადაა საჭირო კატასტროფულია და ალბათ მეორე ტალღასაც ვერ მოუსწრებს... აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მომაკვდინებელი ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით. საზოგადოების განსაზღვრული ნაწილი თვლის, რომ ვირუსი ხელოვნურად შეიქმნა და არგუმენტებიც მოჰყავთ... საოცარია ფაქტი, რომ კორონა ვირუსი სულაც არ ყოფილა „ახალი“ ის ჯერ კიდევ 2012 წელს შემოდგომაზე არაბეთის ნახევარკუნძულზე გაჩნდა და სიმპტომებით ფილტვების ანთებას ჰგავდა, აზიანებდა თირკმელებსა და სხვა ორგანოებს. აი რას ამბობდა მის შესახებ 2012 წლის ბოლოს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომელს, გრეგორი ჰერტლი: „ეს ვირუსი იმავე ოჯახიდანაა, რომელსაც განეკუთვნება ჩვეულებრივი გაციების ვირუსი და მწვავე რესპირატორული სინდრომის ვირუსი. ეს ვირუსი ოდნავ განხვავდება ამ ორისგან. ჯერჯერობით ისეთი პირი უჩანს, რომ ის უფრო ნაკლებად გადამდებია, ვიდრე გაციების და რესპირატორული სინდრომის ვირუსები, მაგრამ ამ მომენტისთვის ზემოხსენებულ ორ ვირუსზე აშკარად უფრო მომაკვდინებელია.“ კორონავირუსის ათეულობით დადგენილი შემთხვევები ყოფილა 2012–13 წლებში კერძოდ, კატარში, საუდის არაბეთში, იორდანიაში, პაკისტანში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და საფრანგეთში. მწვავე რესპირატორული სინდრომის შემთხვევაში სიკვდილიანობა მხოლოდ ათი პროცენტი. ვირუსის წყარო მაშინაც უცნობი გახლდათ, თუმცა მიიჩნევდნენ, რომ ის ცხოველებისგან მომდინარეობდა, სავარაუდოდ ღამურებისგან, თხებისგან ან აქლემებისგან.

2012-13 წლებში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსს „მნიშვნელოვანი და დიდი გამოწვევა“ უწოდა და რიგი რეკომენდაციებიც გამოაქვეყნა მისი გავრცელებისთვის ხელის შესაშლელად. მათ შორის ხელების ხშირი ბანა და ინფიცირებულ პაციენტებთან ურთიერთობისას ნიღბის ხმარება. როგორც ჩანს, ხელების ხშირმა დაბანამ ვერ უშველა საქმეს, შვიდი წლის წინ დაბადებულმა, ვირუსმა ახალი ძალით შემოგვიტია და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაც ისევ „დიდი გამოწვევის“ წინაშე დატოვა. საინტერესოა, შვიდი წლის წინ ესოდენ სერიოზული ვირუსის წინააღმდეგ ვაქცინა არ შექმნეს?ან, მკურნალობის კონცეფცია არ არსებობდა? დიახ, უბრალო მოკვდავთ ბევრი მიზეზი აქვთ ვირუსი ბიოლოგიურ იარაღს დაუკავშირონ... ფაქტია, რომ მსოფლიოში იანვარის თვე „საოცარი დამთხვევებით“ დაიწყო. 3 იანვარს ამერიკული დრონიდან გაშვებული რაკეტებით მოკლეს ირანის ერთ-ერთ სამხედრო დაჯგუფების ლიდერი 62 წლის სოლეიმანი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ირანის მოქმედებებზე საზღვარგარეთ. შემდეგ თითქმის ერთდროულად ხდება ქურთების დაზვერვის ხელმძღვანელის და ტაივანის გენერალური შტაბის ხელმძღვანელის ლიკვიდაცია. ექვს იანვარს კი, უკვე დადასტურებულად ცხადდება კორანავირუსის ეპიდემიის შესახებ. რომელიც მოგვიანებით პანდემიაში გადაიზარდა. ყურადსაღები ინფორმაცია გავრცელდა ჩინოვნიკებზე რომლებსაც გადაკეტილი აქვთ რეგიონი და აკონტროლებენ სიტუაციას: — უხანის მერი (6 იანვარს როტაციული წესით უნდა ჩანაცვლებულიყო, მაგრამ ეპიდემიის გამო ისევ თანამდებობაზეა), ხუანგანის მერი, კულტურისა და ტურიზმის მინისტრი, ქალაქ სუ დჟუს მერი, ჩინეთის პრემიერი. ამბობენ, რომ სამივე ჩინოსანი ასოცირდება ლიბერალურ ძალებთან. ჩინეთის მედიის ცნობით ხელისუფლება კორონა ვირუსს ყველა ეფექტური საშუალებითა და გზით ებრძვის და მას ამ პროცესში არა მხოლოდ ადგილობრივი ექიმები და მკვლევარ-მეცნიერები, არამედ საზღვარგარეთიდან მოწვეული კომპეტენტური კოლაბორატები ჰყავს ჩართული.

ვირუსის აფეთქებამ, უამრავი მოულოდნელი პრობლემები შეუქმნა ადამიანებს რომლებიც დასასვენებლად თუ საქმიანი ვიზიტით სტუმრობდნენ ჩინეთს. წარმოუდგენელი სტრესი გადაიტანეს ადამიანებმა რომლებმაც ეპიდცენტრი, სატვირთო თვითმფრინავებით დატოვეს და ეხლაც კარანტინში არიან. ალბათ ოდესმე გადაიღებენ საშინელებათა ფილმს კორონავირუსზე რომელიც უმძიმესი სანახავი იქნება... ასეთი ტიპის ვირუსი ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, მაგრამ უდიდეს ნეგატიურ შედეგს ახდენს ეკონომიკაზე, კულტურაზე, სპორტზე და ადამიანების არსებობაზე. ვითარება ამ მხრივაც უმძიმესია. ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული ის გავლენა, რაც კორონავირუსის გავრცელების გამო ჩინეთს და სხვა ქვეყნებს მოულოდნელად დაატყდათ თავს... ჩინეთში ეკონომიკური პროცესების ტემპი ნელდება. ასევე მცირდება





ჩინეთის მხრიდან საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქციისა და ნედლეულის შესყიდვები. კორონა ვირუსმა საფონდო ბაზრების კორექცია დააჩქარა. ინვესტორები თავიდან იცილებენ რისკიან აქტივებს. ამ ფონზე ძლიერდება აშშ დოლარი, ოქრო, ფრანკი და იაპონური იენა. დიდი შანსია, კორონავირუსი მოგვევლინოს მსოფლიო პოლიტიკური და ფინანსური სისტემის ცვლილების კატალიზატორად. ჩინეთი გახლავთ ერთი დიდი ქარხანა, სადაც იწარმოება თითქმის ყველა სახის პროდუქცია, რომელიც იყიდება მთელ მსოფლიოში. გლობალიზაიის გავლენით, ყველა მაღალგანვითარებულ და თუნდაც განვითარებად ქვეყნებს, ჩინური პროდუქციის გარეშე, არსებობა გაურთულდება. საკუთარი წარმოება, ან არ აქვთ, ანდა იქედან შემოტანილი ნედლეული და პროდუქცია იაფია. სინხუას სააგენტოს ცნობით,. „ჩინეთმა, ერთ კვირაში, მოახდინა სამედიცინო დანიშნულების საგნების იმპორტი, რომლის ღირებულება შეადგენს 290 მლნ იუანს (დაახლოებით 41,8 მლნ. აშშ დოლარს), ასეთი პროდუქციის შიდა დეფიციტის შესუსტებისთვის ახალი ტიპის კორონავირუსით გამოწვეული პნევმონიის ეპიდემიის აღმოსაფხრელი ძალიხმევის ფონზე (2019-CoV)“ ჩსრ-ს მთავარი საბაჟო სამმართველოს ცნობით ჩინეთმა შემოიტანა ქვეყანაში სამედიცინო დანიშნულების 59,18 მლნ საგანი, მათ შორისაა 56 მლნ-ზე მეტი პირბადე სახისთვის, 69 ათასი წყვილი დამცავი სათვალე, და 738 ათასი დამცავი კოსტუმი.

სამწუხაროდ, უახლეს ისტორიაში არსებობენ ქვეყნები და პირთა ჯგუფები მეტი კეთილდღეობის მოსაპოვებლად უკან, რომ არაფერზე დაიხევენ. ამისათვის საჭიროა, მოსახლეობას შეუქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ აიძულო რამე იყიდოს ან გაყიდოს. გავიხსენოთ, რა ამბები იყო ქათმის გრიპზე, ღორის გრიპზე, პნევმონიაზე. ამიტომ მავანს უჩნდება კითხვა, ხომ არ არის ეს კომერციული ინტერესების გამო წამოწყებული ეპიდემია? ეჭვის საფუძველი მაშინვე გაჩნდა როცა დეკემბერში გამოვლენილი შემთხვევები ოფიციალურმა ჩინეთმა დამალა და ინფორმაციის გამავრცელებლები დაკითხვებზე ატარა. ეჭვის არაერთი საფუძველი არსებობს, მაგრამ საინტერესოა ერთი პოლიტოლოგის განცხადება – „დიდი ალბათობით კორონავირუსი ხელოვნურად შექმნილი ვირუსია. ჩვენს დროში ბიოლოგიური იარაღი ისეთივე საშიშია, როგორც მასობრივი განადგურების. „არ ვამტკიცებ, რომ უშუალოდ ლუგარის ლაბორატორიაში შეიქმნა ეს ვირუსი, მაგრამ ეჭვი, რომ ეს რომელიმე ამერიკულ ლაბორატორიაში გამოიჩეკა და შემდეგ ჩინეთში გავრცელდა, ხელწამოსაკრავი არ არის. ამ ყველაფრის უკან პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები დგას, რომლის შედეგებსაც, ალბათ, მალე ყველა დავინახავთ“, არსებობს გარკვეული ალბათობა იმისა, რომ კორონავირუსი, შესაძლოა მოგვევლინოს მსოფლიო პოლიტიკური და ფინანსური სისტემის ცვლილების კატალიზატორად. არც ისაა გამორიცხული, ჩინეთში კარანტინში მყოფი მოსახლეობა, რომლებიც სამსახურში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლაში თუ სკოლამდელ დაწესებულებაში ვერ დადიან და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საშინელ სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ჩინეთის ლიბერალურმა ძალებმა სათავისოდ გამოიყენონ და გაზაფხულზე ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით ამბოხება მოაწყონ. უხანი ხომ რევოლუციური ქალაქია რომელიც ჩინეთის სამოქალაქო ომის დროს არმიამ, ბრძოლით აიღო. ეს ის ქალაქია, საიდანაც დაიწყო ჩინეთის მონარქიის დამხობა.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# გამართლებულია!




„გამართლებულია“ — დიდი შრიფტით იყო დაბეჭდილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი კვირის წინ გამოსულ რამდენიმე წამყვანი გაზეთის პირველ გვერდზე პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ფოტოსურათის თანხლებით. ახდა იმ პოლიტოლოგების პროგნოზი, რომლებიც იმპიჩმენტში დონალდ ტრამპის გამართლებას წინასწარმეტყველებდნენ. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა კონგრესმენებმა ტრამპს ბრალი ორი მუხლით წაუყენეს — უფლებამოსილების გადამეტებაში და კონგრესისთვის მუშაობის ხელის შეშლაში. სენატში გამართულმა ფაქტობრივად სასამართლო პროცესმა პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ორივე მუხლში უდანაშაულოდ სცნო.

კონგრესმა ტრამპი დამნაშავედ სცნო და იმპიჩმენტი დეკემბრის თვეში გამოუცხადა. თუმცა, 3 თვეში შეგროვებული მასალების სენატისთვის გადაცემას დემოკრატები არ ჩქარობდნენ, ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ. იანვრის დასაწყისში მათ ჩათვალეს, რომ პრეზიდენტის პოზიციები შეირყა და მასალები პომპეზურად მიიტანეს სენატში.



რესპუბლიკური პარტიის წევრების მიზანი ქვეყანაში არსებული გაურკვევლობის დროულად დასრულება იყო. ამიტომაც დაჩქარებული ტემპით განახორციელეს სენატში იმპიჩმენტის მოსმენების პროცედურა.

სენატში, ვერდიქტის გამოცხადების დღეს, კაპიტოლიუმის შენობასთან ერთდროულად ორი აქცია მიმდინარეობდა. ერთი დონალდ ტრამპის მხარდამჭერების, მეორე — მოწინააღმდეგეების. თუმცა, ამ გარემოებას განაჩენზე არ უმოქმედია. სენატორები, წესისამებრ ღიად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას დამნაშავედ თვლიან თუ არა წაყენებულ ბრალდებაში პრეზიდენტს. 47-მა დემოკრატმა სენატორმა, როგორც მოსალოდნელი იყო ტრამპი დამნაშავედ სცნო. 53 გაამართლა რესპუბლიკელთა შორის მხოლოდ მიტ რომნი აღმოჩნდა, რომელმაც ტრამპი ერთ მუხლში დაადანაშაულა. რომნი აღმოჩნდა აშშ-ის ისტორიაში პირველი რესპუბლიკელი სენატორი, რომელმაც იმპიჩმენტის პროცედურისას თავისი პარტიის წარმომადგენელი პრეზიდენტის წინააღმდეგ გაილაშქრა. დემოკრატები ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რათა როგორმე მიეღწიათ საწადელისთვის, ავრცელებდნენ სხვადასხვა ჭორებს. კონგრესის დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელი ადამ შიფი სენატში შეშფოთებით ამბობდა: „... თუ ტრამპს იმპიჩმენტი არ გამოვუცხადეთ და არ გადავაყენებთ, იგი ალიასკას რუსეთს გადასცემს“. სენატის ვერდიქტი უკვე ცნობილია — პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გამართლდა.

აშშ-ის ისტორიაში პრეზიდენტის მესამე იმპიჩმენტი, ექსპერტების შეფასებით, დემოკრატიული პარტიისთვის სამარცხვინო მარცხით დასრულდა. სენატში გამოტანილი განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამიტომაც, შედეგით გაწბილებული კონგრესის სპიკერი ნენსი პელოსი ჟურნალისტებთან ენაწყლიანი აღარ იყო. მისი თქმით, კმაყოფილი დარჩა მიტ რომნის გამოსვლით. „... მართალია, სენატმა გაამართლა დონალდ ტრამპი, მაგრამ იმპიჩმენტი მუდამ ხინჯად დარჩება მის ბიოგრაფიაში. თუმცა, ვილოცებ მისთვის“, — უთხრა პელოსიმ ჟურნალისტებს.

ცივი ომი, რომელიც აშშ-ია დემოკრატებსა და დონალდ ტრამპს შორის, გასულ კვირას აშკარად გამოჩნდა. სენატში ვერდიქტის გამოტანამდე ერთი დღით ადრე, დონალდ ტრამპი პრეზიდენტის ტრადიციულ ყოველწლიური მიმართვით წარსდგა საზოგადოების წინაშე. პრეზიდენტის რანგში ეს მისი უკვე მესამე მიმართვა გახლდათ. დარბაზში შესულ დონალდ ტრამპს დემოკრატები სტვენით შეხვდნენ. თუმცა ტრამპს ამ მოვლენისთვის ყურადღება არ მიუქცევია. აღსანიშნავია ერთი გარემოება საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილ ლოჟაში ვენესუელის თვითმარქვია პრეზიდენტი ხუან გუაიდო იმოფებოდა.

დემოკრატები ელოდებოდნენ და იმედოვნებდნენ კიდეც, რომ ტრამპის გამოსათხოვარი გამოსვლა იქნებოდა კონგრესის წინაშე. თუმცა, პრეზიდენტმა დასაწყისშივე გამოავლინა თავისი ხასიათი, ვიდრე გამოსვლას დაიწყებდა, ტრადიციულად, მოხსენების ასლი გადასცა ვიცე-პრეზიდენტს მაიკ პენსს და კონგრესის სპიკერს ნენსი პელოსს. საქაღალდის გამორთმევის შემდეგ პელოსმა ტრამპს ხელი გაუწოდა. დონალდ ტრამპმა თითქოს ვერ დაინახა, ხელი არ ჩამოართვა, დემონსტრატიულად შეაქცია ზურგი. ნენსი პელოსს ღიმილი სახეზე შეაცივდა, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნია. სპიკერმა წყენა მაინც ვერ დამალა. პრეზიდენტის გამოსვლის დასასრულს, როდესაც ტრამპი ამბობდა „ღმერთო დალოცე ამერიკა“, ნენსი პელოსმა დემონსტრატიულად დახია ტრამპის გამოსვლის ტექსტის ასლი, რომელიც პრეზიდენტმა გადასცა. ჟურნალისტის კითხვაზე რატომ დახია ტექსტი, ნენსი პელოსმა უპასუხა: „...ყველაზე ზრდილობიანი ფორმა გამოვიყენე“.

მომხდარი ფართო მსჯელობის საგანი გახდა, რის თაობაზეც აშშ-ი გაცილებით ბევრს ლაპარაკობდნენ, ვიდრე უშუალოდ დონალდ ტრამპის მოხსენებაზე. პოლიტოლოგები კვლავ დაბეჯითებით ამბობენ, რომ აშშ-ი შიდა პოლიტიკური განხეთქილება დღითიდღე ღრმავდება. 80 წელს მიტანებული კონგრესის სპიკერს პრეზიდენტმა სახალხოდ სილა გააწნა და საჯაროდ დასცინაო, აცხადაბენ ამერიკელი მიმომხილველები.

თავის გამოსვლაში დონალდ ტრამპმა ძირითადად ისაუბრა ეკონომიკურ წარმატებაზე, უმუშევრობის შემცირებაზე. „...ეკონომიკური დაღმასვლა წარსულში დარჩა, ამერიკა კვლავ დიადი გახდა, თუმცა მომავალი წარმატებები ჯერ კიდევ წინ არის“. მისივე განცხადებით, სურს აშშ-ი მშვიდობის მომტან ქვეყნად აქციოს, დაასრულოს არსებული ომები. როგორც გაირკვა ტრამპის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მარსზე აშშ-ის დროშის აღმართვაა. არ დაივიწყა ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო, რომელსაც დამხობით დაემუქრა.

„პრეზიდენტ დონალდ ტრამპის წლევანდელი გამოსვლა საუკეთესო იყო წინამორბედებთან შედარებით. სხვა ქვეყნებზე ცოტა ისაუბრა, ძირითადი ყურადღება ქვეყნის მოვლენებს დაუთმო. მოეფერა აფროამერიკელებს, რითიც გარკვეული დარტყმა მიაყენა დემოკრატებს. ომებს ვამთავრებო, განაცხადა. თუ მართლაც გამოიყვანს ჯარებს ცხელი წერტილებიდან დემოკრატ ნებისმიერ კანდიდატს გაუჭირდება მისთვის არჩევნებში წინააღმდეგობის გაწევა. ხალხს სოციალური პრობლემები აწუხებს ქვეყნის შიგნით და არა რომელიმე რეჟიმის დამხობა. თუმცა დემოკრატები შეეცდებიან არჩევნებამდე კიდევ რაღაც გამოჩხრიკონ ტრამპის საწინააღმდეგოდ“, — აცხადებს ამერიკელი პოლიტოლოგი არიელ კოენი.

სკანდალური აღმოჩნდა აიოვას შტატში გამართული პირველი პრაიმერი, რომელიც მოიგო პიტ ბუტიჯიჩმა. მას აშშ პოლიტიკურ წრეებში ნაკლებად იცნობენ. 38 წლისაა, დამთავრებული აქვს ჰარვარდის უნივერსიტეტი, იყო სამხედრო საზღვაო ძალების დაზვერვის ოფიცერი, ქორწინებაშია კაცთან (რომელი სტატუსი უცნობია). მეორე ადგილზე სანდერსია, მესამეზე — ელიზაბეტ ლოურენი, ხოლო ჯო ბაიდენი, რომელიც დემოკრატების მთავარ ფავორიტად ითვლება მეოთხეზე. როგორც ამბობენ, მილიარდერი მაიკლ ბლუმბერგი საარჩევნო კამპანიაში იმ შემთხვევაში ჩაერთვება, თუ ბაიდენი „ჩაიძირება“.

სენატში იმპიჩმენტის დასრულების შემდეგ, დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში საგანგებო ბრიფინგი გამართა. 3 წლის მანძილზე დაგროვილი წყენა ერთბაშად ამოთქვა. განვლილი პერიოდი ჯოჯოხეთს შეადარა. თავის ოჯახის წევრებს მოთმინებისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა. „... დემოკრატები ყველაფერს აკეთებდნენ ჩემს გასანადგურებლად, რამაც ქვეყანა დააზარალა. ვინ გაუძლებდა ასეთ ზეწოლას ჩემს მეტი“ — განაცხადა დონალდ ტრამპმა. მისივე თქმით, მსგავსი მომავალმა სხვა პრეზიდენტმა აღარ უნდა განიცადოს, არც გამოთქმებს ერიდებოდა აშკარად გაბრაზებული. ადამ შიფი და ნენსი პელოსი. საშინელ ხალხად, ფლიდ და მატყუარა პოლიტიკოსებად მოიხსენია. სიამაყით აფრიალებდა გაზეთებს სათაურით „გამართლებულია“. მიტ რომნი ირონიით მოიხსენია, ბარაკ ობამასთან დამარცხდა საპრეზიდენტო არჩევნებში და ახლა ჩემი იმპიჩმენტი მოინდომაო, განაცხადა.



ამასობაში დონალდ ტრამპმა თეთრი სახლის ადმინისტრაციიდან დაითხოვა თანამშრომლები, რომლებმაც მის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება კონგრესში. ერთ-ერთი პირველი თეთრი სახლის ნაცუსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი და ექსპერტი უკრაინის საკითხებში ალექსანდრ ვინდმანი, რომელიც საბჭოეთის დროს უკრაინაშია დაბადებული. ასევე მისი ტყუპისცალი ევგენი, რომელიც იურიდიულ სამსახურში მუშაობდა. ტყუპ ძმებს თეთრი სახლიდან საიდუმლო ინფორმაციების გავრცელებასაც აბრალებენ, მათ შორის იმპიჩმენტის მიმდინარეობისას. აშშ-ს უკვე ყოფილი ელჩი ევროკავშირში გორდონ სონდლენდმა ტრამპის მითითებით თავად დატოვა პოსტი. ისრაელელი პოლიტოლოგი იაკობ კედმი არ გამორიცხავს თანამდებობა სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომაც დატოვოს.

ექსპერტების შეფასებით იმპიჩმენტის პროცედურამ არა ტრამპი, არამედ დემოკრატიული პარტია დააზარალა. მათივე შეფაებით იმპიჩმენტმა პრეზიდენტს დახმარება გაუწია. დონალდ ტრამპის რეიტინგი საკმაოდ გაიზარდა ამჯერად 49%-ს მიაღწია, რაც რეკორდული მაჩვენებელია. პოლიტოლოგების შეფასებით დონალდ ტრამპმა ამოისუნთქა და მეორე ვადისთვის დაიწყო სამზადისი. მათივე თქმით შოუ, სახელად „იმპიჩმენტი“ დასრულდა და ახლა ახალი წინასაარჩევნო სანახაობა გველოდება აშშ-ი.

გია ბურდული
551 71 27 07

# ჟოზე პომბალი – უმადურობის მსხვერპლი



შეიძლება ითქვას, რომ ჟოზე პომბალმა, პორტუგალიის სამეფო კარის რუხმა კარდინალმა და განმანათლებელთა ეპოქის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკოსმა, აღადგინა თავისი ქვეყანა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: ჯერ ერთი, დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ ხელახლა ააშენა ლისაბონი, მეორეც, პორტუგალიაში ძირფესვიანად გარდაქმნა პოლიტიკური სისტემა.

### სტიქიური უბედურება

1755 წლის ლისაბონში მომხდარმა დიდმა მიწისძვრამ ქალაქი, პრაქტიკულად, ძირფესვიანად დაანგრია. სულ რამდენიმე წუთში პორტუგალიის დედაქალაქში 100 ათასი ადამიანი გარდაიცვალა, ამის შემდეგ კი ქალაქს გიგანტურმა ტალღამ გადაუარა. ყველა ამ ბუნებრივ სტიქიურ უბედურებას ხანძარიც დაემატა. ლისაბონის აღდგენა მარკიზ დე პომბალას დააწვა მხრებზე, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ტახტზე მეფე ჟოზე I იჯდა, ფაქტობრივად, ძალაუფლებას ფლობდა. ჟოზე პომბალი გახდა ის პირველი ჩინოვნიკი, რომელმაც ბუნებრივი კატასტროფებისა და უბედურებების შედეგების აღმოფხვრის ზუსტი სისტემა შექმნა. კერძოდ, მან სწრაფად შეძლო ქალაქის ყველა საჭიროებით მომარაგება, დაუნდობლად ებრძოდა მოროდიორობას და შეძლო ეპიდემიის თავიდან აცილება, რადგან გარდაცვლილები მალევე დაასაფლავეს. ამის გარდა, მიწისძვრა ჟოზე პომბალის სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველი გახდა — მას სეისმოლოგიის ფუძემდებლად თვლიან.

### კლერიკალებისგან წამოსული პანიკა

როგორც იმ მოვლენათა თვითმხილველები აღნიშნავდნენ, მიწისძვრის დროს პანიკის გავრცელებაზე დიდი გავლენა იქონია იეზუიტთა ორდენმა. კერძოდ, იეზუიტი გაბრიელ მალაგრიდა ამბობდა, რომ ყველა უბედურების მიზეზი ადამიანების მიერ ჩადენილი საშინელი ცოდვები იყო. ჟოზე პომბალმა, რომელსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა მოსახლეობის დასაჯერებლად, რომ ქალაქიდან გაქცევა არ ღირდა, ორდენზე წყენა ჩაიდო გულში. რამდენიმე წლის შემდეგ მეფე ჟოზე I-ზე თავდასხმა განხორციელდა, მაგრამ მონარ-



ქი გადარჩა. პომბალის ჩარევის წყალობით შეთქმულების თანამონაწილედ ორდენი აღიარეს. ამიტომ, 1759 წელს იეზუიტებს ქონება ჩამოერთვა, მისი მომხრეები კი პორტუგალიიდან და ყველა მისი კოლონიიდან გააძევეს.

### წარმართული ექსპანსია

ჟოზე პომბალი რომ არა, შესაძლოა, ბრაზილიაში პორტუგალიურად არ ელაპარაკათ. საქმე ის არის, რომ XVIII ს-ის შუა წლებში გავრცელებული იყო ეგრეთ წოდებული „ლინგვა-ჟერალი“, ან „განზოგადებული ენა“, რომელიც პორტუგალიური ენისა და ადგილობრივი ინდიელების ენების შერწყმით შეიქმნა. რაღაც მომენტში იქამდეც კი მივიდა, რომ პორტუგალიურს, ფაქტობრივად, მხოლოდ კოლონისტების მცირე ნაწილი იყენებდა. მარკიზ დე პომბალმა ამას ბოლო მოუღო: 1758 წელს მან პორტუგალიური ენა ერთადერთ ოფიციალურ ენად აქცია და სხვა ენების გამოყენება აკრძალა. ასე გახდა ბრაზილია მსოფლიოში ყველაზე დიდ ქვეყანად, რომელიც პორტუგალიურ ენაზე ლაპარაკობს.

### ებრაელების დამცველი

ერთი პორტუგალიური ლეგენდის მიხედვით, მეფე ჟოზე I-მა წესად შემოიღო, რომ ყველა ებრაელს, თუნდაც მას მხოლოდ ნათესაური კავშირი ჰქონდოდა მათთან, ყვითელი შლაპა უნდა ეტარებინა. როცა მარკიზ დე პომბალი სამეფო კარზე გამოჩნდა, ხელში ერთბაშად სამი ყვითელი შლაპა ეჭირა. ერთი თითქოსდა თავისთვის იყო, მეორე — დიდი ინკვიზიტორისთვის, მესამე კი ჟოზე I-ისთვის — იმ შემთხვევისთვის, თუ მის დახურვას მოინდომებდა.

### უშედეგო სამუშაო

აქტიური პოლიტიკური ცხოვრების პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა, ჟოზე პომბალმა სავაჭრო საბჭოს, სამეფო პალატისა და სამეფო ხაზინის მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. მან გამოიყვანა ცენზურა ინკვიზიციის მმართველობიდან, ჩაატარა სამხედრო რეფორმა და დაახლოებით ათასამდე სკოლა გახსნა. მაგრამ ბოროტი ირონია იმაში მდგომარეობდა, რომ პომბალას სიკვდილის შემდეგ, 1782 წელს, მის მიერ გატარებული ყველა რეფორმა გააუქმეს. უფრო მეტიც, სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე ის გაასამართლეს, ყველა ტიტული ჩამოართვეს და დედაქალაქიდან გააძევეს. ახლა მისი სახელი ჰქვია ლისაბონის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანს, სადაც დიდი რეფორმატორის ჟოზე პომბალის ძეგლი დგას.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**— უბედური შემთხვევის დაზღვევის თემა მაინტერესებს.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 854-ე მუხლი.

1-ლი ნაწილი: უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც დამზღვევის, ისე სხვა პირის უბედური შემთხვევისათვის.

მე-2 ნაწილი: თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია არა დაზღვეული პირის მიერ, მაგრამ მის სასარგებლოდ, მაშინ მასზე ვრცელდება წესები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ.

ამავე კოდექსის 855-ე მუხლის მიხედვით, თუ მზღვეველის მოვალეობა დამოკიდებულია ჯანმრთელობისათვის ზიანის (ვნების) განზრახ მიყენებაზე, მაშინ განზრახვის არარსებობა ივარაუდება მანამდე, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო.

ამავე კოდექსის 855–3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მზღვეველი თავისი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირის დაზღვევისას სარგებლის მიმღები უკანონო მოქმედებით განზრახ გამოიწვევს უბედურ შემთხვევას, ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სხვა პირს აქვს სარგებლის მიღების უფლება, მას ეს უფლება ჩამოერთმევა მაშინ, თუ იგი უბედურ შემთხვევას გამოიწვევს განზრახ უკანონო მოქმედებით.

857-ე მუხლის მიხედვით, თუ მოვალეობები უნდა შესრულდეს სარგებლის მიმღები პირის სასარგებლოდ, მაშინ ეს პირი მოვალეა განაცხადოს უბედური შემთხვევის თაობაზე. ეს წესი ვრცელდება ცნობების შეტყობინებისა და საბუთების გადაცემის მოვალეობებზედაც.

858-ე მუხლის მიხედვით, დამზღვევს არა აქვს რეგრესის უფლება იმ პირის მიმართ, რომელიც პასუხს აგებს ზიანისათვის.

* * *

**— რამდენია პატიმრობის მაქსიმალური ვადა განაჩენის გამოტანამდე?**

— იგულისხმება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება: სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში — 9 თვე, არასრულწლოვანი ბარლდებულის შემთხვევაში კი — 6 თვე.

* * *

**— გარდამეცვალა ვაჟი. მას ჰყავდა მეუღლე, რომელთანაც ორი წელი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. მე ჩემს ვაჟს სიცოცხლეშივე ვაჩუქე საცხოვრებელი ბინა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი, ისინი სამოქალაქო წესით დაქორწინებულან. ახლა მისმა მეუღლემ გამომიცხადა, რომ ის ქმრის მემკვიდრეა და მე ვერაფერს მივიღებ. რამდენად სამართლიანია ეს?**

— მეუღლე და მშობელი, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, არიან პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები სამკვიდროს მიიღებენ თანაბარზომიერად. შესაბამისად, თქვენი ვაჟის მიერ დატოვებული ქონება გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად თქვენსა და თქვენ რძალს შორის.

* * *

**— გარდამეცვალა მამა. მივიღე მისი ქონება, როგორც 1-ლი რიგის მემკვიდრემ. აღმოჩნდა, რომ მამაჩემს ჰყოლია მოვალე, რომელმაც მომთხოვა მე ვალის გადახდა, ამასთან წარმომიდგინა მათ შორის დადებული სანოტარო წესით დადასტურებული სესხის ხელშეკრულება. მე ამ ვალის შესახებ არაფერი ვიცოდი. რამდენად სამართლიანია ეს? არის თუ არა ვალდებული მემკვიდრე, გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები?**

— დიახ, ვალდებულია.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან, მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.

ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მამკვიდრებელი მემკვიდრეებზე გადასული ვალებით სოლიდარულად მოვალე იყო, მაშინ მემკვიდრეები სოლიდარულად აგებენ პასუხს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელნი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001